

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509

7
1983

ელექტრონული ბიბლიოთეკა



სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს: არჩეულ იქნეს ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ვ. კუზნეცოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი

მოსკოვი, კრემლი.

1983 წლის 16 ივნისი.

„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქობულეთელი მეჩაიეები

## დიდებულ ტრადიციებზე აღზრდილი



ხუცუბნის კოლმეურნეობაში ბევრი სახელოვანი ქალია: ლენინის ორდენოსანი ნაზი მახარაძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრი გულნარა გოგიტიძე, სოციალისტური შრომის გმირები, საკოლმეურნეო შრომის ვეტერანები ფადიმე ჟიჟავაძე, ასმათ ჟიჟავაძე, მერი ჩამბა; ორდენოსნები ნანი დიასამიძე, გუგული გოგმაჩაძე. სწორედ ამიტომ ხუცუბანს გმირთა სოფელს უწოდებენ. ამ გმირთა დიდებულ ტრადიციებს აგრძელებს ახალგაზრდა მეჩაიე, შრომის წითელი დროშისა და ,,საპატიო ნიშნის'' ორდენების კავალერი ციალა სალუქვაძე. იგი კომუნისტური შრომის დამკვრელია.

საშუალო სკოლის ატესტატით მოვიდა ციალა ხუცუბნის კოლმეურნეობის მეთხუთმეტე ბრიგადაში, გაიწაფა ხელი, დაოსტატდა. წელიწადი ისე არ გავიდოდა, 6-7-8 ტონა ფოთოლი არ მოეკრიფა. შარშან სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახვედრად 10 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. რამდენი შრომა, ჯაფა, რამდენი დაძაბული დღე დასჭირდა ამ მიღწევას! ღვაწლი არასოდეს დაკარგულა უკვალოდ — მოწინავე მეჩაიე ციალა სალუქვაძე კომუნისტთა რიგებში მიიღეს, მერე ნდობა გამოუცხადეს და თავისივე ბრიგადის პარტიული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

იცის კოლექტივის თითოეული წევრის შესაძლებლობა კომუნისტმა ქალმა, იცის და ისე წარმართავს მუშაობას, როგორც დღევანდელობა მოითხოვს, ახალ-ახალი წარმატებებისათვის რაზმავს მათ. ბრიგადის წევრებმა პირნათლად გაანაღდეს სასოფლო-სამეურნეო დავალებები. მარტო ციალას რგოლმა 72 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. წლეულს 75 ტონისათვის იბრძვიან.

ქალის უპირველესი მოვალეობა ხომ მაინც დედობაა და ციალაც სამ შვილს ზრდის. ძმასავით უდგას მხარში მერვეკლასელი ვაჟიშვილი (დედა 16 წლით არის მასზე უფროსი): მომდევნოები ჯერ პატარები არიან, როგორც შეუძლიათ, ისე ეხმარებიან დედას.

ამ გაზაფხულზე საიმედოდ მოამზადეს ჩაის პლანტაცია ციალამ და მისმა რგოლის წევრებმა — ნაზი მახარაძემ, ვენერა რომანაძემ, თინა წიწკილაძემ, ვარდო ძირკვაძემ, ნუნუ წერეთელმა. მათ ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავის საიუბილეოდ. პირადად ციალა სალუქვაძემ 10 ტონა ფოთლის მოკრეფა იკისრა.

გაცხარებული ჩაის კრეფაა ხუცუბანში. ხარისხი და კვლავ ხარისხი! — განუწყვეტლივ ისმის პლანტაციებში. ძველ შრომის გმირებს ახლები ემატებიან, რომ თავიანთი ადგილი დაიკავონ ხუთწლედში.

# შრომით დაფასებული

ალამბრის კოლმეურნეობის მეჩაიეთა რიგებს მრავალი სახელოვანი ქალი ამშვენებს. მათ შორის არის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნუნუ ცეცხლაძე.

ადრე ჩაება ნუნუ შრომითს საქმიანობაში. რაც თავი მახსოვს, ჩაის ფოთოლს ვკრეფო, — იცის თქმა. მართლაც ასეა. ოჯახურმა პირობებმა მალე დააქალა გოგონა. მამა ფრონტზე დაეღუპა, მარტოხელა დედას მხოლოდ ნუნუ დარჩა ნუგეშად და იმედად. ისიც, ჯერ კიდევ ბავშვი, მხარში ამოუდგა დედას. პლანტაციაში დაჰყვებოდა, ფოთლის კრეფაში ეხმარებოდა, შინ დაბრუნებული აბრეშუმის ჭიას აპურებდა, ბოსტანში ფუსფუსებდა. დედისაგან შეითვისა შრომის სიყვარული, მისი ყადრი და მადლი, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა და სახელოვან ქალად აქცია.

ალამბრის საშუალო სკოლის მოსწავლე იყო, ზაფხულის არდადეგებზე რომ 1,5 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა. საჯაროდ შეაქეს მაშინ ბეჯითი გოგონა, კომკავშირის რაიკომმა კი ქების სიგელითა და ფასიანი საჩუქრით დააჯილდოვა.



გავიდა წლები, მომრავლდა ღირსშესანიშნავი თარიღები, წარმატებები. ნუნუ ალამბრის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის სრულუფლებიანი წევრი გახდა, მისი ლხინისა და ჭირის მოზიარე. არ იშურებდა ენერგიას, შრომობდა, არასოდეს სჯერდებოდა გეგმავალდებულებას და გაცილებით უფრო მეტს კრეფდა. ვინ მოთვლის, წლების მანძილზე რამდენი ტონა ფოთოლი აქვს მოკრეფილი! ამიტომაც მიაგო ხალხმა ღირსეულს ღირსეული პატივი: ნუნუ ცეცხლაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია.

შარშან ნაყოფიერად იშრომა ნუნუმ — 7,5 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა — გეგმაზე გაცილებით მეტი.

სახელოვან ქალს კარგად ესმის ის დიდი პასუხისმგებლობა, მეჩაიეებს რომ ეკისრებათ. ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას მიმართვას ისიც ეხმაურება. ნუნუ და მისი ბრიგადის წევრები — გუგული მგალობლიშვილი, ნაზი, თინა და ნოდარ მგალობლიშვილები, მერი ცეცხლაძე და სხვები ყველაფერს აკეთებენ, რომ რაც შეიძლება მეტი და მაღალი ხარისხის ფოთოლი მოკრიფონ.

ნუნუს საქმიანობა მარტო ჩაის ფოთლის კრეფით არ შემოიფარგლება. მას აქვს საოჯახო საპურსაათო პროგრამა, უვლის ბოსტანს, პირუტყვს, ფრინველს. კოლმეურნეობაში გაიპიროვნა საბოსტნე ფართობი და შარშან 6 ტონა ბოსტნეული მოიწია, მოუარა აბრეშუმის ჭიას და 39 კილოგრამი პარკი ჩააბარა სახელმწიფოს.

შრომითს საქმიანობას ნუნუ კარგი დედობით აგვირგვინებს — ისე ზრდის სამ შვილს, როგორც მის პატიოსან, გამრჯე ქალობას შეეფერება. უფროსი ვაჟი სამხედრო სამსახურშია და ჯარისკაცული ბარათებით ახარებს დედას. ამიტომაც არის, რომ პლანტაციიდან დაბრუნდება თუ არა, მაშინვე ფოსტას გადაათვალიერებს ხოლმე — ბიჭის წერილი ხომ არ არისო.

დეპუტატი ქალის უშუალო ჩარევითა და ინიციატივით ბევრი კარგი საქმე კეთდება სოფელში — შენდება საბავშვო ბაღი, მალე ალამბრის მოსახლეობის უმეტესობას ექნება ტელეფონი, საკმაო რაოდენობის სატვირთო ავტომანქანები.

გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავს ნუნუ ახალი ვალდებულებით ხვდება: შარშანდელზე მეტი ფოთლის მოკრეფა აქვს გადაწყვეტილი, და რა თქმა უნდა, — მხოლოდ უმაღლესი ხარისხისა.

ლია ბრძელიძე

გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობრობა გზად და ხიდად

რუსეთისა და საქართველოს დამოყვრების ისტორიული აქტის ხელმოწერის მე-200 წლისთავის გამო სკკპ მოსკოვის ბაბუშკინის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ბ. კუზნეცოვმა საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში პირველ რიგში მოიხსენია მოსკოვის საწარმოო სამკერვალო გაერთიანება „სმენისა" და თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

ამ წამოწყებას აქვს თავისი პატარა, მაგრამ მეტად საინტერესო ისტორია. მისი პირველი ფურცლები გადაშალეს მოსკოველმა ვალენტინა ელიზაროვამ და თბილისელმა ვალენტინა პისარევამ. შემდეგ კი შრომითმა ურთიერთთანამშრომლობამ მთლიანად მოიცვა ის კოლექტივები, სადაც ეს ორი ხელმარჯვე მკერავი საქმიანობს.

ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავზე, 1977 წლის აგვისტოში, მოსკოვში მიმდინარეობდა საქართველოს დღეები. თბილი გული შეაგება დედა მოსკოვმა მზიური საქართველოს წარმომადგენლებს. ქალაქის ცალკეულმა რაიონებმა და საწარმოო კოლექტივებმა ხელგაშლით უმასპინძლეს სტუმრებს. გულთბილი შეხვედრა მოეწყო მოსკოვის ბაბუშკინის რაიონის სამკერვალო გაერთიანება „სმენის" სათავო საწარმოში. „სმენის" ცნობილმა მკერავმა, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერმა ვალენტინა ელიზაროვამ სტუმრები დაატყვევა თავისი საქმიანობით. ელიზაროვამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია საქართველოს დელეგაციის წევრი, მოწინავე მკერავი, იმჟამად სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვალენტინა პისარევა.

იმ დღიდან ჩაეყარა საფუძველი ორი ვალენტინას მეგობრობას, იმ დღიდან გაიბა მათ გულებს შორის მეგობრობის უწყვეტი ძაფები. ეს მეგობრობა დღითიდღე მტკიცდება, ღრმავდება და დუღაბდება. მათ იგი გზად და ხიდად გაიხადეს როგორც შრომითს საქმიანობაში, ისე პირად ურთიერთობაში.

გაერთიანება „სმენა" ჩვენი ქვეყნის სამკერვალო დარგის ერთ-ერთი დიდი საწარმოა. 7100 ადამიანი საქმიანობს აქ და ყოველწლიურად სამშობლოს აწვდის 87 მილიონი მანეთის ნაწარმს. საწარმო ძირითადად ბავშვის კაბებს კერავს, აღჭურვილია მაღალმწარმოებლური მანქანებით. გაერთიანებაში ჩინებული საყოფაცხოვრებო პირობებია: აქვთ თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობით აღჭურვილი სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი, სააქტო და სპორტული დარბაზები, 350-ადგილიანი მუშათა სასადილო, მაღაზია-კულინარია, ყველაფერი ეს დიდად უწყობს ხელს კოლექტივის მაღალმწარმოებლურ შრომას.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის პირმშოა. არსებობის პირველ წლებში იგი ყოველწლიურად მხოლოდ 100000-მდე ერთეულ ნაწარმს უშვებდა, ახლა ეს რიცხვი მილიონამდე ავიდა. წლეულს ჩვენს მომხმარებელს 32 მილიონი მანეთის ტანსაცმელი უნდა დავუმზადოთ. ფაბრიკა უშვებს 15 სხვადასხვა სახეობის ნაწარმს, ძირითადად ქალისა და ბავშვის ასორტიმენტს (ზედა ტანსაცმლის ჯგუფს). მისი სიმძლავრე, მოსკოვის სამკერვალო გაერთიანება „სმენასთან" შედარებით, გაცილებით ნაკლებია, საყოფაცხოვრებო პირობებითაც თავს ვერ მოვიწონებთ, ობიექტური სიძნელეებიც მეტი გვაქვს, მაგრამ შრომითი პაექრობის კარგი სტიმულია ტრადიციული მეგობრობა. შეჯიბრების ეს ფორმა წლების მანძილზე ნაცადი ფორმაა და კვლავაც გაგრძელდება. მოგეხსენებათ, გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და უკეთ გაცნობის საუკეთესო საშუალება სტუმრობაა. ამ ტრადიციას ჩვენც მივდევთ. მოსკოველი მეგობრები ორჯერ გვესტუმრნენ: მათთან მაინცდამაინც თავი ვერ მოვიწონეთ ჩვენი საწარმოო კულტურით. ფაბრიკის შენობა მოძველებულია, იგი ველარ უძლებს ტექნიკისა და სიახლეთა დანერგვის დღევანდელ მოთხოვნებს. მაგრამ თავმოსაწონი მაინც ისა გვაქვს, რომ ასეთ პირობებშიც კი ფაბრიკის კოლექტივი დაწინაურდა. თვალსაჩინო წარმატებებს ჩვენ ვუმადლით კოლექტივის თითოეულ წევრს, მის ხელმარჯვე ოსტატებს-ფაბრიკის „ოქროს ფონდს", ვეტერანებს, დამკვრელური ვახტის თავკაცებს, დამრიგებლებს და ახალგაზრდებს, დედათა გვერდით რომ იპყრობენ ხუთწლედის მწვერვალებს.

ჩვენი საწარმო ხალხთა მეგობრობის ნამდვილი ნიმუშია. მეგობრობის მადლი აქ ერთნაირად უნათებს გზას სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს, მუყაითი გარჯის წილ ერთნაირად იმკიან სიხარულს გულნარა გოცირიძე, ნუნუ ლორია, თამარ ზეიკიძე, რუსუდან ციცაგი, ვალენტინა პისარევა, პოლინა ბოგდანოვა, როზა ისაგულოვა და სხვები. ეს მეგობრობა ასაზრდოებს ამ ორი საწარმოს სოციალისტურ შეჯიბრებასაც, რომლის ფესვებიც ღრმად გადაენასკვა ერთმანეთს.

პირველი რეალური ნაბიჯი გადაიდგა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გაფორმებით, ყოველკვარტალურად და წლის ბოლოს ორივე საწარმო ერთმანეთს უგზავნის ვალდებულებების შესრულების შედეგს და შემდეგ ხდება გამარჯვებულის გამოვლინება. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ მუშაობის გამოცდილებას, კერძოდ, შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდებს, რაც ხელს უწყობს შეკერილი ნაწარმის ახალი ორიგინალური ნიმუშების შექმნისა და დანერგვის პრაქტიკის ურთიერთგამდიდრებას.

შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენების კავალერი—ვალენტინა პისარევა ყოველთვის, როცა კი მოსკოვში იყო და დეპუტატის მისიას ასრულებდა, ამ საზოგადოებრივ დატვირთვას კარგად უთავსებდა მოსკოველ კოლეგასთან საქმიან ურთიერთობას. საკავშირო პარლამენტის წევრი თავის სეხნიას გულდასმით აცნობდა სესიის შედეგებს და შრომითს წარმატებებს. ელიზაროვა კი სულ უფრო მიზნობრივად აცნობს თავის გამოცდილებას: ნაწარმის დამუშავების შრომითს ილეთებს და კერვის დიდ ხელოვნებას, რაც ხელს უწყობს მისი ბრიგადის მთლიან წარმატებებს და ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებას.

თუმცა პისარევას ძირითადი ტექნოლოგიური ოპერაცია დეტალების შესწორებაა, ეს ხელმარჯვე ოსტატი მთლიანად ეუფლება კაბების დამუშავების ყველა ცალკეულ ოპერაციას. ხან ბრიგადის თავში, ხან ბოლოში, რომ შეასრულოს კაბების გვერდის განაჭერი ნაპირების შეერთების, სახელოს თუ საყელოს ჩაკერების

ოპერაციები. როცა ვალენტინა ადგილზეა, ბრიგადაში გაჭირვება არ იგრძნობა; მისი შესრულებული ყველა ოპერაცია მხოლოდ უმაღლესი ხარისხისაა. ბრიგადის მოწინავე დამრიგებელს მრავალი ახალბედა აღუზრდია. მედიკო გურგენიძის, ლამარა ვაჭრიძის, ნარგიზა ფოლადაშვილის და სხვების პროფესიული დაოსტატება ვალენტინას ღვაწლია.

მეტად მდიდარი და შინაარსიანია ვალენტინას შრომითი ბიოგრაფია. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატს, რაიკომის პლენუმის წევრს, ფაბრიკის დეპუტატთა ჯგუფის თავმჯდომარეს მრავალი საზრუნავი აქვს. მაგრამ მისი გულის კარი ყოველთვის ღიაა მოსკოველი მეგობრისათვის. ნაკისრი ვალდებულებების განაღდებაში მეგობრები ერთმანეთს ტოლს არ უდებენ. საერთო საქმეში ორივე გამორჩეული და გამარჯვებულია, ორივე ხუთწლედის გმირია, უმეტეს წილად ხუთწლედის გეგმებს ვადაზე 2-3 წლით ადრე ანაღდებენ. პირადი ნაცნობობა, მეგობრული მიწერ-მოწერა, გამოცდილების გაზიარება მარტო უბრალო ადამიანურ კონტაქტებს კი არ აძლიერებს, გულს მარტო კი არ ავსებს სითბოთი, არამედ, უპირველესად, საერთო საქმეს სწევს წინ, ეხმარება მკერავებს შრომის ნაყოფიერების ზრდაში, ოსტატობის სრულყოფაში, უხინჯოდ მუშაობაში, ახალგაზრდა კადრის აღზრდაში...

ორი ვალენტინა — ორი სეხნია გეგმების შესრულებისას დროს უსწრებს. კოლეგები სულ მალე მოსკოვში საიუბილეოდ შეაჯამებენ წლევანდელი გარჯის ნაყოფსაც და ეჭვი არ არის, ორივენი გამარჯვებულნი იქნებიან ერთმანეთის, კოლექტივის, ქვეყნის წინაშე.

როცა მოსკოველ ვალენტინას თბილისელი სეხნიის ტელეფონის ზარი ესმის, გული სიხარულით ევსება. რამდენ საინტერესო ამბავს იხსენებენ! კრემლის სვეტებიან დარბაზში ერთად ყოფნას ახალი კონსტიტუციის მიღების დღეს, პისარევას მონაწილეობას სკკპ XXV ყრილობის მუშაობაში, ელიზაროვას შთაბეჭდილებებს სკკპ XXVI ყრილობის შესახებ! ამ ორიოდე წლის წინათ მოსკოველი მეგობარი ტურისტული საგზურით ეწვია საქართველოს ულამაზეს კურორტს — ბორჯომს. მაშინ თბილისელი ვალენტინა საზღვარგარეთ იმყოფებოდა, მაგრამ ბორჯომში მეგზურობა მოსკოველ მეგობარს თბილისელის მეუღლემ ბორისმა გაუწია. ასეა ყოველთვის; მათი ოჯახები გულთბილად უმასპინძლდებიან ერთმანეთს.

ელიზაროვას მეუღლე, ვლადიმერი იმავე საწარმოში მექანიკოსად მუშაობს და საკერავი მანქანების ერთგული მკურნალია, მათი ორი ვაჟიშვილიდან ერთმა სამხედრო ვალდებულება მოიხადა, მეორე კი სკოლის მოსწავლეა.

თბილისელი ვალენტინა ორი შვილის დედა და სამი შვილიშვილის ბებიაა. ახლა

დ. იაკობაშვილის ფოტო


ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენტინა პისარევა ესაუბრება ბრიგადის წევრებს.

იგი მოუთმენლად ელის მეუღლითურთ ეწვიოს მოსკოველ მეგობარს უფროსი ვაჟიშვილის ქორწილში. ეს ხომ მათი მეგობრობის კიდევ ერთი ძვირფასი ფურცელი იქნება! სხვა გეგმებიც ბევრი აქვს თბილისელ ვალენტინას. ფაბრიკის მოწინავე მკერავთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან ნუნუ ლორიასთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად სულ მალე ესტუმრება მოსკოველ მეგობარს მათს საწარმოში შრომის ბრიგადული ანაზღაურების მეთოდის გასაცნობად.

მეგობრობით ვართ ძლიერნი. გვჯერა, რომ მისი მადლით ხვალ უფრო მეტ წარმატებებს მივაღწევთ, ვიდრე დღეს, რადგან კარგი აწმყო ნათელი მომავლის უტყუარი საწინდარია.

**თამილა ცეცაძე,**
თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის პროფკავშირების კომიტეტის თავმჯდომარე.

შალვა ამონაშვილი,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# წერილები ჩემს ქალიშვილს

## „მარტის" ანუ გარდატეხის ასაკი

(წერილი პირველი)

სალამო მშვიდობისა, ჩემო კეთილო ქალიშვილო!

გადავწყვიტე გამოგიგზავნო რამდენიმე წერილი ოთახიდან ოთახში.

მართალია, ოთახები ერთმანეთის გვერდითაა, რაღა წერილებით, ისე მითხარი, რაც გინდაო, მეტყვი. მაგრამ მაინც ვამჯობინე, რომ წერილებით გელაპარაკო. წერილი, რაც უნდა იყოს, წერილია: წაიკითხავ ერთხელ, მეორედ; დადინჯებით ჩაუფიქრდები მშობლების სიხარულსა და საზრუნავს და, იქნებ, ბევრ რამეს ერთმანეთს ისე მივუხვდეთ, რომ უსაგნო ემოციებით დატვირთული სიტყვები აღარ დავხარჯოთ, ჩვენი ყოველდღიური მამაშვილობა, ოჯახური ცხოვრება არ გავაფერმკრთალოთ, პირიქით, უფრო ხალისიანი, სიყვარულიანი და შინაარსიანი გავხადოთ. წერილების წერის დროს მეც, როგორც მშობელი, საგანგებოდ ჩავუფიქრდები და ჩავუკვირდები ჩემს რჩევებს, დარიგებებს, შეფასებებს, დამოკიდებულებებს; ვეცდები კარგად გავერკვე შვილთან ურთიერთობის რთულ ფსიქოლოგიაში, ასჯერ ავწონ-დავწონო იმის სამართლიანობა და საფუძვლიანობა, რისკენაც მინდა, მოგიწოდო.

წერილებით შენთან ლაპარაკი შენმა ასაკმა გადამაწყვეტინა. ჩვენ, შენი მშობლები, ვგრძნობთ, რომ ჩვენი ურთიერთობა შვილებთან მათი ზრდისა და ჩამოყალიბების კვალობაზე უნდა იცვლებოდეს და ვითარდებოდეს. 15-16 წლის ქალიშვილს ისევე ხომ აღარ დაგიწყებთ დარიგებას და ჭკუის სწავლებას, როგორც თუნდაც ამ ორი-სამი წლის წინათ გარიჯიბრით მაშინ ჩვენ შეგვეძლო შენი აღზრდისას თამამად მიგვემართა მშობლის უფლებებისათვის, ნება არ მოგვეცა, აგვეკრძალა შენთვის იმის გაკეთება, რასაც მიზანშეწონილად არ ვცნობდით. მაშინ შენც ადვილად ეგუებოდი მშობელთა მოთხოვნების შეუვალობას. ახლა კი იმ ასაკში ხარ, როცა დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება გეძლევა და თვითონაც დამოუკიდებლობას ესწრაფვი, გძალავს მოთხოვნილება, რომ ყველაფერი — „შენი ჭკუით" გააკეთო. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა: ერთხელაც იქნება, ხომ უნდა გადმოფრინდეს ბარტყი ბუდიდან, ერთხელაც იქნება, ბარტყი ჩიტად იქცევა. მაგრამ საცოდავმა ბარტყმა თუ დედისა და მამის დამრიგებლურ ჭიკჭიკს არ მოუსმინა, მაშინ იქნებ დაუკითხავად ისკუპოს ბუდიდან და იმის ნაცვლად, რომ ლაჟვარდებში შეინავარდოს, ფრთების სისუსტემ და გამოუცდელმა ფრთხიალმა მიწაზე უნიათოდ დააბერტყოს. ხომ ვნახეთ ჩვენ ამას წინათ ერთი ასეთი წინამასწარა ბარტყი, კატაც იქვე იყო. როგორ ეწყინა კატას, რომ ჩვენ დავასწარით მას, ბარტყი დავიჭირეთ და შინ წამოვიყვანეთ. ერთი კვირის მერე კი ფრთებმომაგრებული ჩიტუნია ჰაერში ლაღად ასრიალდა; როგორ გვიხაროდა მისი ყურება.

ბავშვის მთელი ცხოვრება დიდობისაკენ სწრაფვაა. მაგრამ ნამდვილი დიდობისაკენ კი არა, მოჩვენებითი დიდობისაკენ. იცი, რა არის ნამდვილი დიდობა, ნამდვილი დამოუკიდებლობა? ეს არის შენი შრომით ფესვგადგმული ზრუნვა ახლობლებზე, შრომით გასაძირკვლებული ვალდებულება და პასუხისმგებლობა სხვათა ბედისა და კეთილდღეობისათვის. ვარ თუ არა მე — მამაშენი — დამოუკიდებელი? — ვარ, რა თქმა უნდა, ვარ იმით, რომ ვგრძნობ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას შვილების, მეუღლის, საერთოდ, ოჯახის წინაშე. ვგრძნობ ვალდებულებას ახლობლების, ხალხის, სამშობლოს წინაშე და ამ განცდით აღვსილი, ყველა ამათზე ზრუნვით შთაგონებული ვეძლევი შრომას, როგორც უმთავრეს გზას, რომ ჩემი დიდობა, დამოუკიდებლობა დავამტკიცო, გავასაგნო და გამოვავლინო. მაგრამ ცხოვრებაში მარტო შრომა ხომ არ არის? ადამიანს გართობაც, დასვენებაც, მოგზაურობაც უყვარს. უყვარს განმარტოება. მოზრდილი ადამიანი მშობლებთან როდი გარბის ნებართვისათვის, თუ შეიძლება, კინოში გამიშვიო. და ხდება ისე, რომ ბავშვისა და მოზარდის თვალში დიდობა და დამოუკიდებლობა გართობათა, სიამოვნებათა, უკონტროლო მოქმედებათა სამოთხედ იხატება. თითქოს ვინც დიდია, სიამოვნებათა და დროსტარების ზღვაშიც ის ბანაობს, რასაც უნდა, იმას აკეთებს, როცა უნდა და სადაც უნდა, იქ დასეირნობს. და რადგან ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდში ყველა მშობელი იძულებულია შვილს ბევრი რამ აუკრძალოს, ნება არ მისცეს, ჯერ პატარა ხარო, უთხრას, — ეს ათასობით აკრძალული სურვილი, ზოგი ცხარე ცრემლებში გამოხარშული, ზოგი კი მომავლის ოცნებებში გახვეული — თანდათანობით გროვდება, გროვდება და ერთ რომელიღაც უხილავ დღეს გულის ჯებირებზე მოწოლილ ნიაღვრად იქცევა. თუ ამ ემოციებით დატვირთულ გულს კეთილგონიერება დახვდება და გადასძალავს, ჩააცხრობს, ჩაამშვიდებს, ხომ კარგი, — მაშინ მოზარდი

დიდობაში ისე შევა, როგორც საზეიმოდ მორთულ სასახლეში, სადაც უამრავი ახლობელი ადამიანი მის მობრძანებასღა ელოდა, რომ დღესასწაული დაეწყოთ. მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ კეთილგონიერებამ ემოციების მოძალებას ვერ გაუძლო, მაშინ აღმზრდელები, განსაკუთრებით გამოუცდელნი, ხელებს გაასავსავებენ და გაოცებით იტყვიან: „რა დაემართა ამ ბავშვს? როგორი თავაზიანი, გულისხმიერი, დამჯერი იყო და როგორი უხეში, დაუნდობელი გახდა!" ეს უკიდურესობანი მაინც გამონაკლისია. შენი ტოლი გოგო-ბიჭების უმრავლესობა ემოციებისა და კეთილგონიერების ზღვარზეა: ხან ერთი გადასძალავს და ხან მეორე. ამ ასაკში თქვენი ხასიათი მარტის ჭირვეულ ბუნებასა ჰგავს: ამ წუთას მზე ანათებდა და უცბად ღრუბლები მამოვიდა. შენც ამათმად ამ უმრავლესობაში ხარ — „მარტის" ასაკში შეხვედი. წინ მოჩვენებითი, სამოთხის მშვენიერებით აზრჭყვიალებული დიდობა გითამაშებს. იმას ეპოტინები, დიდობის სამოთხეში შესვლას ესწრაფვი, მაგრამ ჩვენი ოჯახური აღზრდის ნესმა კეთილგონიერებაც შეგძინა. შენს ხასიათში ახლა მზე და ღრუბელი უფრო ჩქარ-ჩქარა ენაცვლებიან ერთმანეთს, ვიდრე მარტის ცას.

დიდობაში შესვლა თვალის მეორედ ახელასაც ჰგავს. იმავე რომელიღაც უხილავ დღეს უცბად აღმოაჩენ, რომ თურმე ეზო, რომელიც შენს ბავშვობას ასე დიდი ეგონა, სინამდვილეში ერთი ციცქნა ყოფილა; სასაცილოდ გეჩვენება თოჯინა, რომელსაც გულში იხუტებდი და დედა ვარო, ამბობდი. ბებიას, ადრე კალთას რომ აგლეჯდი, — მიამბე, წამიკითხე, გამასეირნეო, — ახლა ზემოდან დაჰყურებ და ცხოვრებას ჩამორჩენილ ადამიანად მიიჩნევ. მშობლები კი ისინი არიან, რომლებმაც მართალია გაგზარდეს, მართალია შენზე ზრუნავენ, მართალია ძალიან უყვარხარ, მაგრამ ახლა, შენი წარმოდგენით უკვე ვეღარ გიგებენ, ზოგჯერ ხელსაც გიშლიან. მათი ალერსი, ადრე ყრუანტელს რომ გგვრიდა, გეთაკილება; მათი დარიგება თავს გაბეზრებს — მე თვითონაც ვიციო, გაიძახი... ჰო, თითქოს მეორედ ახელ თვალებს, წინ იგივე ადამიანები, იგივე საგნები და მოვლენებია, მაგრამ მათ თითქოსდა ბინოკლის შებრუნებული ლინზებიდან გაჰყურებ, ყველაფერს შორს რომ ისვრის და აპატარავებს. ადრე შენ იყავი პატარა და ამიტომ ყველაფერი შენს ირგვლივ დიდი და საოცარიც იყო. ახლა შენ ხარ დიდი და ყველაფერი შენს ირგვლივ უფრო მეტად დაპატარავდა, ვიდრე სინამდვილეშია. და აი, განა შეიძლება ინატროს კაცმა უკეთესი მიზეზი, რომ გაჯიუტდეს, შეეპასუხოს, დასცინოს, არ დაიჯეროს და, საერთოდ, ყველაფერს კრიტიკულად, ზოგჯერ აგდებულად უყუროს?! სხვა რაღა მიზეზია ამისათვის საჭირო? ჯერ ერთი, მართლაც ყველაფერი ასე გეჩვენება, მეორეც, როგორღა შეხვიდე დიდობაში, თუ არ გააგებინე ირგვლივ მყოფთ, რომ დღეიდან ასე ადვილად აღარ დაგიჯერებთ, რაც არ უნდა სიბრძნე მითხრათ, დღეიდან მე ჩემი ჭკუით ვიწყებ მოქმედებასო.

მაგრამ ის ბინოკლი, რომელიც ყველაფერს შორს ტყორცნის და აპატარავებს, საკუთარსავე თვალში საკუთარ შესაძლებლობებს, საკუთარ სურვილებს, საკუთარ განცდებს ცხვირწინ გითამაშებს და არაბუნებრივად გადიდებულს წარმოგიდგენს. თუ რამ გიხარია, — უბრალოდ კი არ გიხარია, მეტისმეტად გიხარია; თუ რამ გეწყინა, — უბრალოდ კი არ გეწყინა, პირდაპირ გულში გაგიარა; თუ ვინმე მოგეწონა, — უბრალოდ კი არ მოგეწონა, თავდავიწყებამდე შეგიყვარდა. შენი სიხარული, შენი ტკივილი, შენი გატაცება, შენი სურვილი — სამყაროს არსებობის თავი და ბოლოა. შენზე მეტად არც არავის არაფერი გახარებია, არც არაფერი სტკენია და სწყენია, შენზე ძლიერ არც ვინმეა რამით გატაცებული. სხვისი თავმოყვარეობა შენს თავმოყვარეობასთან რა მოსატანია! ასეთები ხართ „მარტის" ასაკის გოგო-ბიჭები, ამიტომაც არის: ვინ ფეხს დაჰკრავს და სახლიდან გაიქცევა — მშობლებმა მაწყენინესო, ვინ დაუფიქრებლად გაჰყვება თავზეხელაღებულს — გაგიჟებით მიყვარსო; ვინ უხეშობით დატენილ სიტყვას ტყვიასავით ესვრის დედას და ლოგინად ჩააგდებს — აბა, თუ კარგია, თვითონ რატომ მკადრა ასეო. მაგრამ, ვინ კი ლექსების წერას დაიწყებს, წიგნებს დაეწაფება, სპორტს გაჰყვება, ან თავისთავში ჩაიკეტება. გაივლის წლები, და თუ კეთილგონიერება და აღზრდა ერთმანეთს ბედნიერად შეეხამება ხომ კარგი: დაიხვეწება ხასიათი, ჩამოყალიბდება პიროვნება, ფართო ბუნების მოქალაქე, მზრუნველი შვილი, მშრომელი ადამიანი. ჩვენს სინამდვილეში უფრო ხშირად სწორედაც ასე ხდება.

მაგრამ მშობლები დიდი საშიშროების წინაშეც არიან: რაიმე გაუთვალისწინებელმა, უხილავმა შეცდომამ მოზარდი შეიძლება სამუდამოდ ამოაგდოს საზოგადოებრივი კალაპოტიდან და ნაფოტივით უთავბოლოდ აქანაოს, ცხოვრების წლები გაუფლანგოს, გზა გაუმრუდოს, ბედი დაუმახინჯოს, მაშინ მოგიტრიალდება საკუთარი შვილი, რომელიც გუშინ „თავი გამანებეო" გიყვიროდა, და ხანჯალივით გაბასრულ სიტყვებს გულში გაგიტარებს: თუ გამაჩინე, კიდეც უნდა გაგეზარდე, შენს კისერზე იყოს ჩემი ცოდვაო, მე თუ არაფერი გამეგებოდა, შენ ხომ გესმოდაო", — აგავსებს საყვედურებით.

ჩვენ — შენს მშობლებს სულაც არ გვინდა დამოუკიდებლობა შეგიზღუდოთ. იმასაც ვხედავთ, რომ შენ თვალსა და ხელს შუა გაიზარდე და გვიხარია კიდეც, რომ ქალიშვილი მოგვევლინო, მაგრამ მაინც ვშფოთავთ, რადგან ვიცით, რომ ჩვენც იგივე შეცდომა დავუშვით შენს აღზრდაში, რასაც ჩვენს დროში მრავალი ათასი მშობელი უშვებს: ხელოვნურად ჩამოგაცილეთ თანმიმდევრული ხასიათის შრომით საქმიანობას, რათა მეტი დრო დაგრჩენოდა სწავლისათვის, მუსიკისა და უცხო ენაში მეცადინეობისათვის. ახლა ოჯახების უმრავლესობას ისეთი პირობები აქვს, რომ ბავშვის ნაადრევად ჩაბმა შრომით საქმიანობაში, მის ღაჩაგვრად ითვლება. „მაგისი არაფერი მინდა, ოღონდაც ისწავლოს!" — ამაყად აცხადებენ მამები. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ბავშვის შრომა ოჯახს გაჭირვებას უმსუბუქებდა. იმ შორეულ წარსულში მშრომელი ადამიანების შვილებმა კარგად იცოდნენ, რა იყო გაჭირვება, შიმშილი, უწამლოდ დარჩენილი ავადმყოფი დედა. მდგომარეობა აკისრებდა მათ ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას ახლობლების წინაშე. ეს ნაადრევი ზრუნვა და ვალდებულების განცდა აჩქარებდა მოზარდის მომწიფებას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. იგი დიდობაში შედიოდა მანამდე, ვიდრე მისი გონებრივი და ფიზიკური ძალები საამისოდ მომწიფდებოდნენ. ხუთი-ექვსი წლიდან საოჯახო, სამეურნეო შრომით საქმიანობაში ჩართული ბავშვი როცა 15-16 წლის გახდებოდა, ზრდადასრულებული ადამიანის ვალდებულება და პასუხისმგებლობა უკვე ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. მას მშობლების მხარდამხარ უხდებოდა შრომა, ხოლო შრომის შედეგი ოჯახის ბიუჯეტს ემატებოდა. ასეთი ვითარება იქმნებოდა არა ბავშვის აღზრდის ინტერესების გამო, არამედ გაჭირვების, ხელმოკლეობის გამო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბავშვობიდან საზოგადოებრივ შრომაში ჩამოყალიბებული ადამიანები ადრევე ითვისებდნენ საზოგადოებრივ მორალს, იმსჭვალებოდნენ პატივისცემით, თანაგრძნობითა და სიყვარულით მშობლების, უმცროსი და-ძმების, მშრომელი ადამიანების მიმართ, უმუშავდებოდათ შრომის მოთხოვნილება. ერთობლივი შრომა, საერთო საოჯახო საზრუნავი აახლოებდა ერთმანეთთან მშობლებსა და შვილებს, აძლიერებდა ურთიერთგაგებას, ურთიერთპატივისცემას, ურთიერთთანაგრძნობას. მაშინ, იმ ძველ დროში, სწავლა გამონაკლისთა ხვედრი იყო.

ახლა ხომ ასე აღარ არის? — ჯერ ერთი, ჩვენს ქვეყანაში აკრძალულია მცირეწლოვანთა საწარმოო შრომა; მეორეც, არც ოჯახებია იმ დღეში რომ პატარების ოფლით მოპოვებული ლუკმა ენატრებოდეს; მესამეც, საყოველთაო საშუალო განათლება დიდი ხანია ყველასათვის სავალდებულოდ იქცა, მეოთხეც, დიდი ხანია კარგად გავიგეთ, რომ სწავლა, განათლება პირადი ბედნიერებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ერთ-ერთი საძირკველია და არც ერთ ოჯახს არ უნდა რომ შვილები სწავლაში ჩამორჩნენ. ოჯახის მატერიალურმა უზრუნველყოფამ კიდევ უფრო გააფაქიზა მშობლების სიყვარული შვილებისადმი. „ყველაფერი თქვენთვის გვინდა!" — გავიძახით, და თავდაუზოგავად ვშრომობთ, რომ შვილებს მაშინაც კი ნაკლები საზრუნავი დაუტო-

ვოთ, როცა ისინი უკვე დიდები გახდებიან, თვითონვე იქნებიან დედები და მამები. თუკი შევძლებთ, ბინის გასაღებს ისე მივართმევთ, თითქოს მაჯის საათი გვეჩუქებინოს, საკუთარ მანქანას ისე დავუყენებთ წინ, თითქოს დიდი ხნის ვალს ვიხდიდეთ. სწორედ შვილების აღზრდასა და კეთილმოწყობაზე ფიქრმა შეგვისუსტა მრავალშვილიანობის კეთილი ტრადიცია. ვიყოლიებთ ერთს, ორს, ჰა-ჰა, სამ-ოთხ შვილს, მთელი მონდომებით ვეძლევით მათ მომავალ ბედნიერებაზე ზრუნვას. „შენ ოღონდაც ისწავლე, — ჩავჩიჩინებთ, — არც შენი გაკეთებული სადილი მინდა, ნურც ცოცხს მოჰკიდებ ხელს! ფაბრიკაში იმუშავებ?! — რა გვჭირს შენი შესანახი! ჩაის კრეფაში დაგვეხმარები? წამოდი, რაკი ასე ძალიან გეხალისება, ოღონდ მზეზე დიდხანს ნუ გაჩერდები, ნურც გულს ამოიგდებ!“ ბევრ, ძალიან ბევრ ოჯახში იზრდება ასე ვაჟი და ქალიშვილი. კარგია ეს? — ამაზე სხვა დროს მოგწერ. აქ კი იმას გეტყვი, რომ ჩვენ, მშობლები, დიდ შეცდომას ვუშვებთ: ნაცვლად იმისა, რომ ბავშვებს თავიდანვე გავუჩინოთ მუდმივი საქმე, რომელმაც იგი ურთიერთზრუნვის მარადიულობის გაგებამდე უნდა მიიყვანოს, პირიქით ვიქცევით— ხელიდან ვაცლით ამ საქმეს და არც კარგად ვუფიქრდებით, რომ ვაფერხებთ მასში ვალდებულების, პასუხისმგებლობის განცდის აღმოცენებას, გაღრმავებასა და განმტკიცებას. და როცა ჩვენი გუშინდელი ბავშვი მოულოდნელად დიდობის, დამოუკიდებლობის კარზე, მოგვიკაკუნებს — ბიჭი სიგარეტს გაიჩრის, ქალიშვილი სარკის წინ დაიწყებს ბზრიალს — მაშინღა ვხედავთ, რომ მართლა დაგვიშვია შეცდომა, ხელოვნურად შეგვიფერხებია შვილის აღზრდა, მეტისმეტად დიდხანს ვუვლიდით და ველოლიავებოდით მას უზრუნველობის სათბურში, რომლიდანაც განებივრებული გოგო-ბიჭები ყვავილებივით მორთულ-მოკაზმული მოგოგმანობენ, ან ფრთაჭრელი პეპლებივით მოფარფატებენ, თითქოს მარადიული ზრუნვისა და შრომის ველზე კი არ გამოდიან ოფლის საღვრელად, ჭაპანის საწყვეტად და კეთილდღეობის დასამკვიდრებლად, არამედ იმიტომ, რომ მშობლების მხრების სიმაღლიდან გაჰხედონ ადამიანთა ფუსფუსს და გულდაწყვეტით გაიოცონ: თურმე რა დიდი ეგონათ ყველაფერი და როგორი პატარა კი ყოფილა... ახლა ამ ფრთაჭრელი პეპლებისა და ჭრელ-ჭრელი ყვავილების აღზრდა იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ კეთილგონიერებას გამოიჩენენ მშობლები, რომ კიდევ უფრო არ გაღრმავდეს შეცდომა და მშობლებსა და შვილებს შორის უსიამოვნებათა კორიანტელი არ დააყენოს, მშობლებს გული არ (ატკინოს მეთქი რომ ვთქვა, ცოტაა) გაუხეთქოს და შვილებსაც გზა არ გაუმრუდოს.

შენც ასეთი უზრუნველი პეპელა მყავხარ, ჩემო ძვირფასო, და ჩვენც ის მშობლები ვართ, რომლებმაც შეცდომა დავუშვით: ძალიან დიდხანს გამყოფეთ ჩვენი მზრუნველობისა და საკუთარი უზრუნველობის სათბურში, დროზე არ გაგიჩინეთ ვალდებულებასა და პასუხისმგებლობაში ჩაქსოვილი საზრუნავი. ამიტომ აფახულებ გაოცებულ თვალებს და ყველაფერს შებრუნებული ბინოკლიდან უყურებ. არ იფიქრო, თითქოს რამეს გისაყვედურებდე. აბა, რატომღა ვსწავლობდი ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკას, თუ იმდენი არ მეცოდინება, რომ ყველა ასაკობრივი საფეხური საკუთარი ბუნებით ხასიათდება და პედაგოგიკაც თავისი სჭირდება. „მარტის“ ასაკს კი მართლაც საგანგებო პედაგოგიკა უნდა და, მეც ახლა სწორედ ამავეს ვფიქრობ — როგორ პედაგოგიკას დავადგე. უნდა გამოგიტყდე: ამ საქმეში შენი რჩევა და დახმარება მჭირდება.

დღესდღეობით ორნაირი პედაგოგიკა ვიცი. პირველს მე იმპერატიულს (ბრძანებითს) ვარქმევ, მეორეს კი — ჰუმანურს. თუ იმპერატიულ პედაგოგიკას გავყვები, მაშინ იძულებული ვიქნები ყურადღება არ მივაქციო შენი „მარტული“ ასაკის ჭირვეულობას: ვიტყვი და მორჩა. იცრემლე, რამდენიც გინდა, უკვე დიდი ვარო, თუ რამე მომივა, მე მომივა, თქვენ .ხომ არაო. მე ჩემს თავს ასჯერ გავუმეორებ: მკაცრად მოჰკითხე მაგ გოგოს პასუხი ყოველგვარი თვითნებობისათვის, უხეშობისათვის, დასაჯე დანაშაულისათვის, სამაგიეროდ წააქეზე, თუ რამ კეთილი ჩაიდინა. და ამ გზას ბეჯითად გავყვები. ასევე მოიქცევა დედა: შენც ნელ-ნელა მიეჩვევი რომ მშობელთა ნებადაურთველად „არაფრის“ (წარმოგიდგენიათ, არაფრის!) უფლება არა გაქვს. ამასობაში წლებიც გავა და „მარტული“ ასაკიც ჩაცხრება. მერე რა, რომ ბევრჯერ აუგად იფიქრებ ჩვენზე, მერე რა რომ მშობლების მიმართ შეიძლება შიში ან უნდობლობა გაგიჩნდეს. — გავა წლები და მიხვდები, რომ ჩვენ შენთვის არასოდეს არ გვინდოდა ცუდი და ყველაფერს შენზე ზრუნვით ვაკეთებდით.

თუ ჰუმანურ პედაგოგიკას გავყვები, მაშინ უნდა ვეცადო, რომ ნებით დაგიყოლიო, გაგაგებინო, მიგახვედრო, დაგითანხმო, შენვე მოგანდო ზოგი რამის გადაწყვეტა იმ იმედით, რომ კეთილგონიერებას მოიმარჯვებ. უნდა გავხდეთ უაღრესად გულწრფელნი და გულახდილნი ერთმანეთის მიმართ. შენ საოჯახო საქმეების განხილვაში ჩაებმები, მოგისმენთ, როგორც ოჯახის სრულუფლებიან წევრს, ანგარიშს გავუწევთ შენს გონივრულ რჩევას. მოგანდობთ საოჯახო საქმის რომელიმე უბანს, იქნებ ყველაზე მთავარსაც, შენ ჩვენთან ერთად გაინაწილებ საერთო საზრუნავს. ჩვენ მეტ დროს გავატარებთ შენთან, ვიმეგობრებთ, ვიკამათებთ. დაგეხმარებით, რომ თვით აღზრდის გზაზე დადგე. თუ ჰუმანურ პედაგოგიკას გავყვებით, მაშინ თავად შენც უნდა დაგვეხმარო შენსავე აღზრდაში, უნდა ითანამშრომლო ჩვენთან, რომ აგლზარ-



ფოტოეტიუდი — „მარტის ასაკი“

დოთ, უნდა გვენდო, გაგვიგო და დაგვყვე. ჩვენ კი იძულებულნი ვიქნებით მოთმინებით გაგიმარტოთ ჩვენი გადაწყვეტილებანი, ჩაგახედოთ მშობლების გულში, ანგარიში გავუწიოთ „მარტის“ ასაკის ყოველგვარ თამაშს, მაგრამ ამავე დროს მოგთხოვოთ, რომ შენც საკუთარი ქცევები მშობელთა თვალით დაინახო. ურთიერთგაგება, ურთიერთპატივისცემა, თანამშრომლობა, მეგობრობა, სამართლიანობა — აი რა ზნეობრივ-ეთიკურ ნორმებს ემყარება ჰუმანური პედაგოგიკა.

მინდა, რომ ამ მეორე პედაგოგიკას — ჰუმანურ პედაგოგიკას გავყვეთ, უფრო რთულს, ფაქიზს, მაგრამ შინაარსიანს, რომანტიკულს. ჩვენ ხომ დღემდისაც ამ გზას ვადექით. ჰუმანური აღზრდა არ ჩაგიტოვებს გულში სხვათა მიმართ უსიამოვნო ემოციების ნალექს; იგი საკუთარ თავში გაგარკვევს. დაგანახვებს, რომ ჩვენ ერთმანეთისათვის ვარსებობთ. მართალია, ხშირად მოგიხდება საკუთარი თავის დაძლევა, ბევრ სიამოვნებაზე ნებაყოფლობით უარის თქმა, სამაგიეროდ ჩამოგიყალიბდება კეთილშობილური ხასიათი, რომელსაც ვეღარასოდეს ვეღარ გაეკარება თავკერძოების, უხეშობის, შურიანობის, ბოროტების ბაცილები. ჩამოგიყალიბდება თანაგრძნობის განცდა — ნამდვილი ადამიანის უმაღლესი თვისება.

ჩვენ ისე უნდა გავიაროთ „მარტის“ ასაკი, რომ ყველანი გამარჯვებული გამოვიდეთ. ამ ასაკის ჭირვეულობამ არ უნდა დაგვაბნიოს, არ უნდა აგვაცდინოს გზიდან, არ უნდა გაგვხვიოს უსიამოვნებათა ბუქში.

როგორ ფიქრობ, შეგვიძლია გავუძლოთ გამოცდას?

ტკბილ ძილს გისურვებ, ჩემო ძვირფასო, და თუ მაინცდამაინც სიზმარს ნახავ, ნუ შეგეშინდება ლაჟვარდებში გაფრენისა. შენი მამა.



# სიკეთის თესლი რომ გააღვივო

ეროვნული ბიბლიოთეკა



დ. იაკობაშვილის ფოტო

ადვოკატი ლათინური სიტყვაა და დასახმარებლად მოხმობას ნიშნავს. მართლაც არის რაიმე იმაზე სასიამოვნო, ვიდრე უშველო, სხვას დარდი შეუმსუბუქო, კეთილი რჩევა მისცე, შეაგნებინო საკუთარი საქციელის სისწორე ან უმართებულობა, განუმტკიცო რწმენა სიმართლისადმი.

საინტერესოა ადვოკატის საქმიანობა, მას სხვადასხვა პროფესიისა თუ ბუნების ადამიანებთან უხდება ურთიერთობა, მუდამ ახლის ძიებასა და სწავლის პროცესშია.

სხვათა ლასახმარებლად საკუთარი ენერგია არასოდეს დაუზოგავს ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს ლეილა ზედგენიძეს, რომელსაც უზომოდ უყვარს არჩეული პროფესია და მიუხედავად მრავალი სიძნელისა, ყოველ ახალ საქმეს ხალისით კიდებს ხელს. სიძნელე კი ნამდვილად ბევრია; თითოეული ადამიანი ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს, ადვოკატს უდიდესი მუშაობა სჭირდება ამა თუ იმ პიროვნების სიმართლის

დასამტკიცებლად. რათა დაუმსახურებელი ჩრდილი არ მიადგეს მის სახელს.

ადვოკატს ყოველთვის უდანაშაულო ადამიანის ინტერესების დაცვა როდი უხდება. იგი ხშირად საშიშ დამნაშავესაც იცავს და სწორედ მაშინ მართებს მთელი ნიჭისა და ხელოვნების გამოვლენა. ასეთ დამნაშავეთა მიმართ ლეილა განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს. ცდილობს ზედმეტად არ შელახოს პირადი ღირსება, ეძებს სიკეთის თესლს, რომ მერე იგი გაალვივოს: ზოგჯერ ისეთ კარგ თვისებას აღმოაჩენს ხოლმე დამნაშავეში, რომელიც თავად პატრონმა არ იცის და შემდგომში ეს აღმოჩენა ამ პიროვნების ცხოვრებისაკენ სასიკეთოდ შემობრუნების სტიმული ხდება.

ალბათ ქალბატონ ლეილას გაუჭირდება იმ უძილო ღამეების ჩამოთვლა, რომლებიც განსასჯელთა ბედზე ფიქრში გაუტარებია: როგორ ადამიანს არ შეხვედრია იგი, ზოგი ბავშვივით მიამიტი და მიმნდობია, ზოგი კი ჯიუტი და უხეში. მას არცერთისათვის დაუშურებია სითბო და ნუგეში. მისთვის არასოდეს უღალატნია ზომიერების გრძნობას.

მოსაგონებელი ბევრია, მაგრამ 1980 წლის აგვისტოს ერთ-ერთი ცხელი დღე განსაკუთრებით დაამახსოვრდა; მასთან ძაძებიანი, უზომოდ დამწუხრებული ქალი მივიდა და შველა სთხოვა. ვინ იცის მერამდენე ადამიანს უამბობდა თავის უბედურებას: მეუღლე სამი წლის წინათ დაღუპოდა; (სამუშაოთა მწარმოებელთათვის დროებით აგებულ ოთახში ტელეფონზე დასარეკად შესულისათვის დაძრულ მეწყერს თავზე ჭერი ჩამოუნგრევია). ქვრივს სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩა აღსაზრდელი, ზარალის ანაზღაურების იმედი კი არსაიდან ჩანდა. ქალმა ადვოკატს დაღუპული მეუღლის დაწესებულებაში შედგენილი აქტი გადასცა და პასუხს მოთმინებით დაუწყო ლოდინი.

ლ. ზედგენიძემ მისთვის ჩვეული სიდინჯით წაიკითხა აქტი და იმედიანი ღიმილით გადახედა: „ნუ ინერვიულებთ, დავადგენთ აქტის უმართებულობას და ყველაფერი რიგზე იქნება". ქალს სამი წლის მანძილზე პირველად გაუკრთა სახეზე ღიმილი და იმედის შუქი. ნუთუ ჩემს შვილებს ეშველებათო, ჩაილაპარაკა და წამოდგა.

ადვოკატს სიბრალულის, პრინციპულობისა და ბრძოლის გრძნობა დაეუფლა, გაეცნო სპეციალურ ლიტერატურას მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ, ინჟინერ სპეციალისტებს რჩევა ჰკითხა. საქმეს თან დაურთო საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი აქტი და სასამართლოს წარუდგინა, შედეგმაც არ დააყოვნა, 1981 წლის ოქტომბერში ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა ეს საქმე და დააკმაყოფილა დაზარალებულის სარჩელი. კიდევ ერთ ადამიანს მიანიჭა ადვოკატმა უსაზღვრო სიხარული. თვითონაც უზომოდ ბედნიერი იყო.

ლეილა მხოლოდ თავის პროფესიული კეთილსინდისიერებით როდი გამოირჩევა. მისთვის არ არსებობს მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო დავალება, ზრუნავს [illegible] მასზე მიმაგრებულ სტაჟიორებს.

ყოველივე ზემოჩამოთვლილი [illegible] იყო იმისა, რომ ადვოკატი ლეილა ზედგენიძე გამხდარიყო ერთ-ერთი გამარჯვებულთაგანი იმ დათვალიერება-კონკურსისა, რომელიც საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა მოაწყო 1982 წლის საუკეთესო ადვოკატის გამოსავლინებლად. მთელი კოლექტივი უდიდესი სიხარულით შეხვდა ამ ცნობას, მხოლოდ თავად ქალბატონ ლეილას გაუკვირდა, —განა ასეთი რა გავაკეთეო. აი კიდევ ერთი საუკეთესო თვისება ადვოკატისა — თავმდაბლობა.

ვულოცავთ ადვოკატ ლ. ზედგენიძეს კონკურს-დათვალიერებაში გამარჯვებას და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებას.

ლ. რატიანი,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი.

## წაუკითხეთ პატარებს

# დედისერთა

თუნა დათვის სამფლობელო
ვრცელი იყო, მეტად ვრცელი,
ბაღი ჰქონდა პანტა-მსხლისა,
თხილი აუარებელი;
ფუღუროში თაფლი ესხა,
მუდამ გამოულეველი,
ყურდანდალა, დრუნჩიანი,
ჰყავდა ერთადერთი ბელი.

თქვა: ერთს გავზრდი გოლიათსა,
რომ აჯობოს სხვათა ათსა!
არ აკლებდა სასუსნავსა,
იმ პაწია დათუნასა.

ძილისგუდა, ღორმუცელა,
გაიზარდა გოდრისხელა,
საქმეს სულ არ ეძალება,
განძრევაც კი ეზარება...

დედამ უთხრა: ჩემო შვილო,
რომ არასდროს იშიმშილო,
მუდამ უნდა გაისარჯო,
მოიძიო შენთვის სარჩო...

დათუნია აღრიალდა:
მომიტანე ჩქარა პანტა,
თაფლიც მინდა, თხილ-კაკალიც,
არ მომაკლო თხის ბარკალიც!

დედა მიხვდა ნებივრობით
უქნარა რომ გამოზარდა,
გამოტება იფნის სახრე,
მსუქან ზურგზე ურტყა მაგრად:

აჰა, შენი თხილ-კაკალი...
აი, ესეც თხის ბარკალი!..
ამ დროს ჩიტმა გამოსძახა —
ახლა დარდობ? ხა-ხა-ხა-ხა!
ახი არი, მეტისმეტად,
რათ დატოვე დედისერთად!

ალექსანდრე დიდებაშვილი

ალან მარშალი

# რუხი კენგურუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენგურუ სცნობდა მოხუც ოქროსმაძიებელს. გორაკის მოტიტვლებული ფერდობიდან ბევრჯერ შეუნიშნავს, როგორ რეცხავდა მდინარეში ჩამდგარი მოხუცი ოქროსშემცველ ქვიშას. მდინარე ველა შუაზე ჰყოფდა.

ზოგჯერ მოხუცი ოქროსმაძიებელი ტარაბუააავით ტრიალა თავს ანებებდა, მდინარის ნაპირას ჩამომჯდარი ჩიბუხის გამართვას იწყებდა და თან კენგურუა უთვალთვალებდა.

უკვე ორი წელი იყო მოხუცი ოქროსმაძიებელიც სცნობდა რუხ კენგურუს. კენგურუ მისი მეგობარი იყო. თავის თანამოძმეთაგან რუხი კენგურუ ფერითაც განსხვავდებოდა და სიპატარავითაც — რუხი იყო, დანარჩენები კი თითქმის შავები იყვნენ. მოხუცმა დანარჩენებს თავის გულში „მურიანები“ შეარქვა.

დილ-დილაობით, როცა ოქროსმაძიებლის ორთვალა მთის დაკლაკნილ, ვიწრო ბილიკს ჭრიალით მიუყვებოდა ხოლმე, კენგურუები წამით წელში იმართებოდნენ. ნესტოები უთრთოდათ, მაგრამ შიშით სულ არ ეშინოდათ მისი. რაღა ორთვალას ჭრიალი და რაღა ევკალიპტების ხეებზე შეხორხლილი ჩიტების ჟივჟივი. ზოგჯერ ოქროსმაძიებელი თავის ყორანა, ბებერ ცხენს კენგურუების შორი-ახლოს წრუპუნით შეაჩერებდა ხოლმე. კენგურუები ხვდებოდნენ, რომ მოხუცს მარტო ია უნდოდა, მათთვის თვალი შეევლო და ამიტომაც მშვიდად აგრძელებდნენ ბალახობას.

მათი რიტმული მოძრაობა მუსიკას ჰგავდა. სიმეტრიული სხეულების ლივლივი ტანწერწეტა ხეების ფონზე!

ზოგჯერ კენგურუები წელში გამართულები უძრავად ისხდნენ და მოხუცს გაჰყურებდნენ. დაკვირვებული გამოხედვა ჰქონდათ, დაძაბული ინტერესით სავსე.

მოტკბო სურნელის მქონე ფოთლებიდან ჩამოღვენთილი წვეთებით დასველებული ფერდები კენგურუებს მზეზე ათას ფრად უბრჭყვიალებდათ. ხეებს შვილებივით ეხვეოდნენ გარშემო.

ერთ მშვენიერ დღეს მოხუცი რუხ კენგურუს რამდენიმე იარდზე მიუახლოვდა. კენგურუ ადგილიდან არ დაძრულა. იდგა და ელოდა მის მიახლოებას. თავი წინ გაეწვდინა, თვალები სანახევროდ მიელულა, ნესტოები ცნობისმოყვარეობით უთრთოდა. ოქროსმაძიებელიც გაუნძრევლად იდგა. იდგნენ და ერთმანეთს ზვერავდნენ.

მერე კენგურუ შეტრიალდა და აუჩქარებელი ხტუნვა-ხტუნვით გაეცალა იქაურობას. ტვირთი ეკიდა, ჩანთაში პატარა კენგურუ ეჯდა, მაგრამ მოძრაობები მაინც დახვეწილი და ღირსებით ალსავსე ჰქონდა.

იმ ადგილიდან ერთი მილის დაშორებით, სადაც ოქროსმაძიებელი ქვიშას რეცხავდა, ორი ახალგაზრდა შეშას ჭრიდა. ხერხის კბილებს მზეზე ლაპლაპი გაუდიოდა. ბასრი ხერხი ახალგაზრდების თავებს ზემოთ ერთი წამით უმოძრაოდ რომ შეჩერდებოდა ხოლმე, შიშველ ზურგზე მათ პატარ-პატარა, ყავისფერი, გლუვი კუნთები ბორცვებად აჩნდებოდათ. ბიჭებს კვერცხის ნაჭუჭივით უხინჯო და სრიალა კანი ჰქონდათ.

მორზე, რომელზედაც ბიჭები ხერხავდნენ, კენგურუზე დაგეშილი ცისფერი ძაღლი მიწოლილიყო. ძლიერი, გამოკვეთილნეკნებიანი მკერდი სუნთქვისას ზევით-ქვევით აუდიოდ-ჩაუდიოდა, ყლორტივით წვრილი, ჯიშიანი წელი ჰქონდა.

უცებ ძაღლმა წამოიწია, თავი გვერდზე მიიბრუნა და რაღაცით გაღიზიანებულმა მბზინავი ბალნით დაფარულ მხარზე იტაცა პირი. განზე გაწეულ ლაშებში წითელმა ღრძილებმა და სპილოსძვლისფერმა ღოჯებმა გაიელვა. ძაღლმა ჩაიღრინა და კბილები აატკაპუნა. ლაშებზე დორბლი წურწურით ჩამოუვიდა. მერე ღრმად ამოიქშინა და ისევ მიწვა. ბუზები თავზე დაბზუოდნენ. ძაღლი პირს აწკლაპუნებდა და მოუსვენრად ჩრიალებდა.

ძაღლს ზამბარას ეძახოდნენ, „მგუდავ“ ზამბარას. დანარჩენი ძაღლები გარშემო მდგომ ხეთა ჩრდილებს შეფარებოდნენ. მთელი ხროვა იყო. ბიჭებს ნადირობა უყვარდათ და ეს გახლდათ ძაღლების სიმრავლის მიზეზი. ჯიშიანობით ზამბარასთან ვერცერთი ვერ მოვიდოდა, ნაყარნუყარი ძაღლები იყვნენ, ისეთები, ღამღამობით ყეფით ყურთასმენა რომ მიაქვთ, მთვარეს რომ შეჰყმუიან, კურდღელზე ველური გახელებით რომ ნადირობენ და რაკი ხრიკად ნადირობენ, ერთმანეთით გულმოცემულები მსხვერპლს ბოლომდე მისდევენ. უფრო სერიოზულ საქმეებში ისინი ზამბარას იმედით იყვნენ, მკვლელობის მონაწილეთა როლითაც კმაყოფილდებოდნენ.

ერთ-ერთი ამ ძაღლთაგანი, ნახევრად ჯიშიანი ცხვრის ძაღლი, სახელად ბუფერი, წამოდგა და გაიზმორა. კბილები დაკრიჭა, მერე ჩაყმუილებით დაამთქნარა და ჩრდილიდან მზეში გამოვიდა. ცოტა ხანს ასე იდგა, თითქოს რაღაცას ფიქრობსო. მერე უკან მიიხედა.

ძაღლის გვერდით ნაფოტი ბზრიალით დაეცა. ბუფერმა დაყნოსა. მოწყენილი იყო, შებრუნდა და ხეებს შორის გაძუნძულდა.

ცოტა ხნის შემდეგ მისმა აღელვებულმა ყეფამ დანარჩენი ძაღლები ფეხზე წამოყარა. იდგნენ კისერგაწვდილები, ყურებდაცქვეტილები და თავებს აქეთ-იქით ატრიალებდნენ.

ცოტა მოშორებით ბუფერი რაღაცას გამოეკიდა. მიწას ცხვირს არ აცილებდა. ძაღლებმა შვებით დაიწკმუტუნეს, ბუჩქნარში შეცვივდნენ. კაუჩუკის ხის ხმელი ფოთლების კორიანტელი დააყენეს და ტოტების ლაწა-ლუწით ბუფერს მიჰყვნენ.

ბიჭებმა მუშაობა შეწყვიტეს და სმენად იქცნენ.

— აი, იქ, გორაზე არიან! — დაიძახა ერთმა — შეხედე, ჩქარა, შეხედე მეთქი! — და ხელი იქით გაიშვირა, სადაც კენგურუები ძოვდნენ.

პირში ორი თითი ჩაიდო და ყურისწამღებლად დაუსტვინა.

ზამბარა, რომელიც დიდად არ შეცელქებულა, როცა დანარჩენმა ძაღლებმა გნიასი ატეხეს, ამ საოცარმა ყიჟინამ ფეხზე წამოაგდო. რამდენიმე, მოკლე, სხარტი ნახტომით გამოვარდა წინ. კისერი ისე მოდრიკა, თითქოს წინდაწინ უნდოდა ყველა იმ დაბრკოლებათა დანახვა, რისი გადალახვაც მოუხდებოდა; შედგა, ერთი თათი მაღლა ასწია და დაძაბული გაინაბა. თითქმის აღარც კი სუნთქავდა, გაფაციცებით ზვერავდა გარემოს.

ის ბიჭი, რომელმაც დაუსტვინა, მორიდან ჩამოხტა, ცისფერ ძაღლთან მიირბი-

ნა, ძაღლის თავი ხელებშუა მოიქცია და მიწიდან სანახევროდ ასწია. ძაღლს კისერი დაეძაგრა, კანის ნაკეცებმა თვალები თითქმის დაუფარა.

—ეცი! ეცი! — აღელვებით ჩასჩურჩულა ბიჭმა. საპასუხოდ ერთი კუნთიც კი არ შეთრთოლებია ძაღლს. ბიჭი სირბილით გავარდა წინ და ძაღლიც თან გაათრია.

მერე კი ის იყო, ზამბარამაც დაინახა და ბიჭის ხელებიდან თავი ერთი ღონიერი გაქნევით დაიძვრინა. თავის ნებაზე მიშვებული ენერგიის საზარელი ძალა წინ მიაქანებდა. ძაღლი ჯერ შეკუმშულ ზამბარას ჰგავდა, მერე, როცა სიჩქარეს უმატა, უკვე თვალწარმტაცი მომხიბვლელობით მიჰქროდა.

ბიჭი ისევ მორზე შეხტა. იდგა ბიჭი და გაფაციცებულს პირი ოდნავ გაეღო, თვალები კი ფართოდ ვაეხილა. დამუშტული ხელები სხეულზე ჩამოსხეპოდა.

— შეხედე, ბიჭო!, — სუნთქვაშეკრულმა გადაუგდო სიტყვა ამხანაგს, — შეხედე!

ფერდობზე შეფენილმა კენგურუებმა ყური მოჰკრეს მათს კვალზე შემდგარი ბუფერის წკავწკავსა და ყეფას. რუხმა კენგურუმ მკვირცხლად ასწია თავი. ერთ ხანს დაძაბული, გაშეშებული გადაჰყურებდა დაბლობს. პატარა კენგურუ, რომელიც იქვე ახლოს ბალახს წიწკნიდა, გულგახეთქილი გამოქანდა დედისაკენ. აშკარა იყო, ერთი სული ჰქონდა, სანამ მის კალთას თავს შეაფარებდა. დედა კენგურუმ თათებით ჩანთის პირები ისე გასწია, თითქოს შაქრის ტომარა ყოფილიყო. პატარა კენგურუ თავით ჩაძვრა ჩანთაში და სანამ მთლიანად დაიმალებოდა, ასხმარტალებული პატარა ფეხები მოუჩანდა.

რა არხეინად იგრძნო თავი ჩანთაში მოკალათებულმა! რა საიმედოდ იყო დაცული ბასრი კბილებისა და თოფებისაგან! ძაღლების გაცხარებული ყეფით აფართხალებული გულიც თანდათან საგულეს ჩაუდგა, ჩანთაში მოხერხებულად შებრუნდა და ბავშვური ცნობისმოყვარეობით გამოიჭყიტა გარეთ.

რუხი კენგურუ უკვე გარბოდა. დედალი კენგურუები ჩქარობდნენ, მამლები უფრო დინჯად იქცეოდნენ.

ძაღლების ხროვა ერთი აურზაურითა და ტოტების ლაწა-ლუწით მიექანებოდა წინ. სულ წინ ისრის წამახული წვერივით უხმოდ მიჰქროდა ზამბარა — „მგუდავი". კენგურუებმა, რაც შეეძლოთ, სიჩქარეს უმატეს, მაგრამ უკვე ყველაფერი ამაო იყო, ზამბარა მათს ჯგუფში შევარდა და გულგახეთქილი კენგურუები აქეთ-იქით მიმოფანტა.

ფერის გამო იყო თუ მეტისმეტი სიპატარავის გამო, ძნელი სათქმელია, მაგრამ „ზამბარამ" რუხი კენგურუ სხვებისაგან გამოარჩია და მას გამოენთო. დანარჩენი ძაღლები, რომელთაც ზამბარას წინამძღოლობა საეჭვოდ არასოდეს გაუხდიათ, ხალისიანად და მხიარულად მიჰყვნენ მას. გორაკები ბანს აძლევდნენ მათს ალტკინებას...

რუხმა კენგურუმ ერთი კი დააპირა გორაკის მწვერვალისაკენ გაქცევა, რომ ხშირი ტყისათვის შეეფარებინა თავი, მაგრამ, თითქოს თავისი უმწეო მდგომარეობა და დედობით დაკისრებული პასუხისმგებლობა გაითვალისწინაო, უცებ შეტრიალდა და მოხუცი ოქროსმაძიებლისაკენ აიღო გეზი.

კენგურუმ გარეული კაკლის სურნელოვან ხეებსა და ვერცხლისფრად მოჩითულ ავსტრალიურ აკაციებს შორის გაიელვა, ერთფეროვან გვიმრის ხეებს ჩაუქროლა, ჯაგნარისაგან გაწმენდილ მინდვრებს ელვის სისწრაფით გადაევლო თავს. წინ დახვედრილ ჩახერგილ ხეებსა და ტოტებს ძაღლიც კენგურუსავით ერიდებოდა, ისიც მასავით უქცევდა გვერდს მიწიდან ამოშვერილ, ნაკვეთის მოსანიშნავ პალოებს. მასავით ადვილად ევლებოდა თავს ვირთაგვების სოროებსა თუ მოჩუხჩუხე ნაკადულებს და თვით სიკვდილის გარდუვალობით მიაპობდა სივრცეს.

კენგურუ მიმოზის ტოტებში გაიხლართა. უცებ ფეხებქვეშ ნიადაგი გამოეცალა. ცისფერმა ძაღლმა კამარა შეკრა, მაგრამ რაღაცაზე ფეხი დაუცდა, ნახტომი გაუფუჭდა და ჰაერში უცნაურად შეათამაშა სხეული, კენგურუს მხარს გაჰკრა კბილი და მერე მთელი სხეულით ზედ შეასკდა. კენგურუ შეტორტმანდა, ხეს მიეხეთქა. ძაღლმა თათებით მიწა მოფხოჭნა და გასროლილი ისარივით გაიჭრა წინ.

კენგურუმ რაღაც სასწაულით მოახერხა წონასწორობის შენარჩუნება, ერთ უძლიერეს ნებად შენივთდა და ბეჭიდან ჩამოგლეჯილი ტყავის წითელი ნაფლეთის ფრიალ-ფრიალით ისევ წინ გავარდა.

კენგურუმ ახლა კაუჩუკის ხეების ახალი ამონაყარი აირჩია მიზანში. გამალებით გარბოდა, ხის ტოტები გვერდებზე ეხათქუნებოდა. სწრაფი, სასოწარკვეთილი მოძრაობით პატარა კენგურუ ჩანთიდან ამოიგლიჯა და ისე, რომ სირბილი არ შეუნელებია, შვილი თავშესაფრად მიჩნეულ კაუჩუკის ხეების ახალ ამონაყარში ისროლა. მერე შებრუნდა და ცისფერი ძაღლი თან გაიყოლია.

პატარა კენგურუ დაბნეული წამობორძიკდა ფეხზე და სადღაც განზე გაიქცა. ძაღლები გამარჯვებული ყეფით გამოუდგნენ მსხვერპლს. პატარა კენგურუმ უმწეოდ მოუხედა ძაღლებს, ერთი კი შეეცადა თავისათვის ეშველა, მაგრამ ძაღლების ხროვა თავზე ქარიშხალივით დაატყდა და მთლიანად დაფარა.

ძაღლების გამარჯვების ყიჟინა შემოესმა დედა კენგურუს, რომელიც „მგუდავი" ზამბარას წინ მიჰქროდა. ძაღლების სისხლიანი ალტკინებით გაჟღენთილი სიველურე რუხ კენგურუს ტალღებად დაემსხვრა თავზე. ეს ხმა გაიგონა ოქროსმაძიებელმაც. საცერი ხელიდან გააგდო და ზედმეტი სიჩქარისაგან მდინარის კალაპოტიდან მოუხერხებლად ამობობღდა. მდინარის ნაპირს თავითა და მხრებით რომ ასცილდა, ერთ ხანს პირდაღებულმა და თვალებდაჭყეტილმა უყურა როგორ უახლოვდებოდნენ მას რუხი კენგურუ და მისი მდევარი, მერე ფიცხლად ამოხტა მდინარიდან და მათკენ გაიქცა. შიშჩამდგარი თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. ოქროსმაძიებელმა ხელები ჰაერში გაასავსავა და ხრინწიანი ხმით დაიყვირა:

— ჩემკენ, ჩემკენ გადმოუხვიე!

რუხმა კენგურუმ მწვანე კორდამდე რომ მიაღწია, მთლად არაქათგამოცლილი იყო.

გვიმრის ნორჩ ხეებში მიგელავდა ენაგადმოგდებული ცისფერი ძაღლი. ნერწყვი აბრეშუმის ძაფებად ეკიდა ლაშებზე. წამიც და ძაღლი მისწვდებოდა კიდეც თავის მსხვერპლს, მაგრამ კენგურუმ ერთ ტკივილად შეკრული ნახტომით გრილ, ლორთქო ბალახში შერგო თავი.

ძაღლმაც საბოლოო, არნახული კამარა შეკრა, მიწას მოცეკვავის თვალწარმტაცი, ენერგიული ნახტომით მოსწყდა. მისი სხეული კუნთების დახვეწილ ხაზებად ჩამოიქნა ჰაერში. ძაღლის კბილები კენგურუს ბეჭზე ჰაერშივე შეიკრა ძლიერ მარწუხად. ძაღლმა, რომელიც წამის წინ შხუილით მიაპობდა ჰაერს, ისე უცებ დაიოკა სისწრაფე, თითქოს შიგნით რაღაც მექანიზმი გასტეხოდეს და, მიწაზე მუხლგამართული, მოქნილად დაეშვა.

მხრებში თავჩარგული კენგურუ ჰაერშივე ამოტრიალდა. ტრიალით მთელი ბრუნი გააკეთა, მისმა გრძელმა კუდმა მის თავს ზემოთ ტყლაშუნით შემოხაზა წრე. კენგურუ მიწაზე გვერდულად, ხმაურით დაეხეთქა. ძაღლმა სულის მოთქმა არ აცალა, გამგელებით ეცა ყელში. მართლაც რომ დემონური გააფთრებით ფლეთდა მის ნაზ ტყავს, კუდაბზეკილი, ფეხებგაბიჯგული მსხვერპლს აქეთ-იქით აქნევდა.

კენგურუ უიმედოდ ასავსავებდა ფეხებს.

ძაღლმა ოდნავ უკან დაიხია, რომ ახალი ძალით სცემოდა ნადავლს.

წინა თათებს, პატარა ხელებს რომ მიუგავდა, კენგურუ თავისდაუნებურად ისე ამოძრავებდა, თითქოს ძაღლს დანდობას შესთხოვსო.

ცოტაც და კენგურუ მოილევენთა, მიწას დედასავით მიენდო და ჩაეხუტა.

ძაღლი შებრუნდა და ქშენით გაეცალა იქაურობას. გადმოგდებული ენიდან წითელი წვეთები წურწურით ჩამოსდიოდა.

სანახევროდ თვლადახუჭული ძაღლი ცერად გაჰყურებდა მოხუც ოქროსმაძიებელს, რომელიც მაღალყელიანი, სისველისაგან დამძიმებული ფეხსაცმელების ფრატუნით მათკენ გარბოდა.

ინგლისურიდან თარგმნა

ჯულიეტა მჭედლიშვილ-ბაქრაძემ.

ციალა არდაშელია

# „ჩემს მოყვარე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველო ჩემი სატრფო იყო 26 წლის განმავლობაში“

კრისტოფორო დე კასტელი



იტალიელი მისიონერი ბერის კრისტოფორო დე კასტელის ეს სიტყვები, რომელიც შეიძლება პარაგრაფად წავუმძღვაროთ იმ ალბომს, დროის მსახვრალ ხელს რომ გადარჩენია, ლიტონი განცხადება არ გახლავთ. კრისტოფორო დე კასტელის მართლა გულით შეუყვარდა ჩვენი ქვეყანა. იგი მოღვაწეობდა საქართველოს ისტორიის თითქმის ყველაზე ტრაგიკულ ხანაში: მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში. ეს ის დროა, როცა კასტელის თქმითვე: „საქართველო... მსოფლიოს ბაღი... უწინ რომ დედამიწის სამოთხე იყო... ქვეყანა, რომლის მცხოვრებლებმაც ქვეყნიერება გაანათლეს... რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა... ახლა ქცეულა ყაჩაღთა გამოქვაბულებად და მღვიმეებად, ველურ ყვავილთა ტყედ, სატანის მოხარკედ, გამხდარა სიბეცისა და ბნელეთის დასაბამი... სადაც თხებივით იყიდებიან ბავშვები... მრავალი ათასი სული მიჰყავს დემონს აღმოსავლეთის ქვეყნიდან... ყოველწლიურად საუკეთესო არსებანი გაჰყავთ შავი ზღვით... ვტიროდი მრავალი სულის დაკარგვას, რადგან თურქეთში მიერეკებოდნენ ამ საცოდავ ქრისტიანებს“.

ოთხი საუკუნის სისხლის წვიმებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ღრმა დაღი დასტყობია ყოველ წოდებას, განსაკუთრებით მაღალ ფენებს მოსდებია გადაგვარების სენი, მორყეულა ერის გარკვეული ნაწილის ფსიქიკა, უმძლავრია ქვენა გრძნობებს... მტერთა გამუდმებული შემოსევების შედეგად გაპარტახებულ-გავერანებულ ქვეყანას გამოსცლია ეროვნული ენერგია, მორალურ-ზნეობრივად დაცემულა და მომხვდურთა სათარეშოდ ქცეულა, ხოლო მომხვდურებს გაველურება მოჰქონდათ ყველგან. ხულხან-საბა ორბელიანის თქმით: „სადაც თათარს მიუწევია, იქ ღვთის ნათელი აღარ დამდგარა, გაუოხრებიაო“.

კრისტოფორო გულგრილი დამკვირვებლის როლში როდი გვევლინება, არამედ მხურვალედ მონაწილეობს ხალხის სიხარულსა თუ ჭირში. იგი არ შემოფარგლულა თავის მოღვაწეობაში კათოლიკობის გავრცელების ვიწრო მიზნით. ხანგრძლივი დროის განმავლობაში კრისტოფორო დე კასტელი დაუახლოვდა მოსახლეობის ფართო ფენებს, გაიცნო ხალხის ზნე-ჩვეულება, კულტურა, ხასიათი. იყო მათი ჭირისა და ლხინის მოზიარე, გულმოდგინედ ეხმარებოდა მოსახლეობას, როგორც მკურნალი ექიმი. საერთოდ, მისიონერთა მოღვაწეობას კეთილისმყოფელი შედეგი მოჰყვა გურია-იმერეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ცხოვრებაში. მთავარი იყო, რომ მისიონერები სასტიკად ებრძოდნენ ტყვეთა სყიდვას. ხოლო თავად კრისტოფორო დე კასტელის პიროვნება გამოირჩეოდა განსაკუთრებული სათნოებით, მისიონერული გულმოდგინეობით, მხატვრობის ნიჭით, მკურნალობის ცოდნით, უცხო ენების ადვილად დაუფლების უნარით. დიდგვაროვანთა ოჯახიდან გამოსული პატრი თანაბარ გულშემატკივრობასა და თანაგრძნობას იჩენდა ყოველი დაჩაგრულისა და გაჭირვებულის მიმართ, რა წოდებისაც არ უნდა ყოფილიყო იგი.

ამ ალბომში მიუდგომლად, შეუფარავად და დიდი გულისტკივილით არის ასახული ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ჟამინდელი ყოფა-ცხოვრების სურათები. იგი დიდი ნიჭიერებით გვიამბობს „საოცრებით სავსე ქვეყნის“ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებებზე, ხალხის თავისებურებებზე, იმ ხალხისა, რომელსაც ასეთ მძიმე, ტრაგიკულ ვითარებაშიც შეუნარჩუნებია ბევრი კეთილი და ლამაზი თვისება.

კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან შემოგვცქერის მთელი გალერეა ქართველი ქალებისა. 26 წლის განმავლობაში, რაც იგი გურიასა და სამეგრელოში ცხოვრობდა, თანდათანობით ადგენდა და ავსებდა თავის ალბომს.

ეს ის ქალებია, რომლებიც, კასტელის აზრით, უფლებრივად, მორალურად, ფიზიკური სილამაზით ევროპელ ქალებს ბევრად აღემატებიან. დე კასტელის ალბომი ამის ერთი დასტურიცაა. „ქართველი ქალები, ამორძალების მსგავსად, სპარსელების წინააღმდეგ იარაღასხმულნი არიან, მამაკაცებს არ ჩამოუვარდებიან ცხენოსნობაში... ქალები იარაღში ვარჯიშობენ, განსაკუთრებით მშვილდ-ისრისა და შუბის ტყორცნაში“. კრისტოფორო დე კასტელი, რომელიც განსწავლული იყო ძველი ქვეყნების ისტორიაში, შეგნებულად მიიჩნევს ქართველ ქალებს ამორძალების შთამომავლებად.

ცნობილია, რომ იბერიაში პომპეუსის ლაშქრობის დროს ტყვედწაყვანილთა შორის შეიარაღებული იბერიელი ქალებიც იყვნენ, რომელთაც იმდენივე ჭრილობა აღმოაჩნდათ, რამდენიც ვაჟებს...



ჩანახატები კასტელის ალბომიდან



კასტელი თავის რელაციონში დიდი სიმართლით აღწერს ქეთევან დედოფლის საარაკო მოწამეობრივ აღსასრულს...

უცხოელი მოგზაურები და ისტორიკოსები მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი ქალების გასაოცარი შემართებულობის და შეუპოვრობის, სიმხნევისა და სიმამაცის გვერდით მოიხსენიებენ მათ გონიერებას, ნიჭიერებას, ფიზიკურ სიმშვენიერეს. ისინი არა მარტო გულითადნი და უმშვენიერესი არსებანი არიან, არამედ განათლებულნი, მწიგნობარნი, მახვილის გონებისანი, თავაზიანნიო; ისინი თან დაატარებენო: „განუშორებლივ სასულიერო თუ საერო ხასიათის წიგნებსა და ხელნაწერებს“, ხოლო დედოფლები: „ხელში ეკლესიით ახატვინებენ თავს... ისინი იცავენ ქრისტიანულ სახელს წარმართებისა და მაჰმადიანებისაგან... დიდი ღვთისმოსავები არიან... ბევრი წიგნი აქვთ“... დე კასტელის ალბომში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ასეთ ქალებს.

აი, „უკეთილშობილესი ქართველი ქალი, მამუკა ბისკაიას მეუღლე — როდია მიქელაძე — უმაღლესი სათნოებისა და პატიოსნების ყოფაქცევით შემკული მხატვარი ქალი“, პატრების მონაფე, იგი პოეტიც ყოფილა და მრავალ სხვა საქმეშიც გამოირჩეოდა თურმე ნიჭიერებით. ასევე, თავისი ღირსებებით ყურადღებას იმსახურებდა პოეტი ქალი ფომინისია ბერიძე: „ნიჭიერებითა და სათნოებით შემკული“; „ლამაზი, ამაყი სერაფიმი, ღირსეული არსება კანჩა ლაბაკია“; „ძალიან ყოჩაღი, ნიჭიერი და კეთილზნიანი მართა“: პატრების მსახური ქალები: „უბრალონი, მორცხვნი, „პატარათავიანნი, ფაქიზყელიანნი, ოქროსთმიანნი“; ლამაზი სვანი ქალების მთელი წყებაა ალბომში: „მამაცნი, უშიშარნი, მეომარნი“. ეს ის ქალებია, რომელნიც, არქანჯელო ლ ა მ ბ ე რ ტ ი ს თქმით, ინახავდნენ წერა-კითხვის ცოდნას. საყურადღებოა, რომ სწორედ ქალებმა შემოინახეს ქართული წერა-კითხვა გამაჰმადიანებულ აჭარაში, ე. წ. დედაბრული ანბანით რომ არის ცნობილი. საყურადღებოა ისიც, რომ ქართველი ქალის სამზითვო ნივთებს შორის, ყველაზე ადრე დასახელებული იყო წიგნები. მზითვის ნივთთა შორის, უეჭველად, ჭადრაკიც მოიხსენიებოდა. გარდა იმისა, რომ ქართველი ქალები პოეტებიც იყვნენ, ისინი ლიტერატურის მეცენატებად, აგრეთვე, დახელოვნებულ კალიგრაფგადამწერლებად, მხატვარ-მკაზმავებად და წიგნთსაცავის შემქმნელებადაც გვევლინებიან.

„რა მიზეზით იყო და რით აიხსნება, ზეციური სასწაულით თუ ქვეყნიური გრძნეულებით, რომ ამ პატარა საქრისტიანო ქვეყანამ მოიგერია მასზედ მოზღვავებული მტერი?.. ეს სასწაული და გრძნეულება ქართველი ქალი იყო. ის ჭირშიაც და ლხინშიაც მეუღლეობას უწევდა ქმარს და შვილებს გმირებად უმზადებდა მომავალს, — წერს ერთგან აკაკი წერეთელი და დასძენს: — საქართველოს ისტორიის შესწავლა თვალდათვალ დაგვანახვებს ჩვენ, რომ ჩვენს წარსულ ცხოვრებაში უმეტესი ღვაწლი მიუძლვის დედათა სქესს. ჭირში თუ ლხინში, შინ თუ გარეთ ცხოვრების მანქანა მათ ხელში ყოფილა და ჯარაც მათ უტრიალებიათ. სამშობლოსთვის, თავის განწირვა უბრალო რამ, ჩვეულებრივი ყოფილა“.

სწორედ ეს თვისებები მიუჩნევია დე კასტელისაც ქართველი ქალის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებად.

კრისტოფორო დე კასტელის აზრით, თითქმის ყველა ის ქალი, რომელიც თავის ალბომში ჩაუხატავს: „ციური ანგელოსია“, „მარად ბრწყინვალე ვარსკვლავია“, „მიწაზე ჩამოსული სერაფიმია“, რომელთა სიტურფე და გონიერება ქცეულა მათივე უბედურების მიზეზად. აი, ქართლის ბატონიშვილი ლევადანი, თავისი შორეული წინაპრის შუშანას მსგავსად, შაჰს ცოლობას სიკვდილი რომ არჩია: სანამლავი დალია და ისე გამოესალმა წუთისოფელს.

დე კასტელის აზრით, თეიმურაზ I მეუღლის „ყველაზე ულამაზესი არსების — ვარდისფერას (ხორეშანი) — ამ ახალი ელენეს — სიმშვენიერე გახდა კახთა სამეფოს დაქცევის მიზეზი“.

ათასწლეულებში იხვეწებოდა და იძერწებოდა ქართველი ქალის ეს ამაღლებული, უზადო, სწორუპოვარი სილამაზე: კირკესა და მედეადან მოყოლებული დიდი თამარით დამთავრებული. დიახ, ათასწლეულები აქანდაკებდნენ და სრულყოფდნენ ამ უბადლო მშვენებას. დიდი გერმანელი ხელოვნებათმცოდნე ვინკელმანი ერთგან აღნიშნავს: „დღესაც არსებობენ ხალხები, რომელთათვისაც სილამაზე სრულიადაც არ ითვლება უპირატესობად, იმიტომ, რომ მათ შორის ყველა ლამაზია. ყოველივე ამას მოგზაურები ერთსულოვნად ლაპარაკობენ ქართველებზე“. ბოდენშტედტის აზრით კი: „ქართველები უდავოდ ულამაზესი ხალხია — დედამიწაზედ მოსახლე ადამიანთა შორის. ასეთი სილამაზე ხვედრია კულტურის მაღალ საფეხურზე მდგარი ხალხისა“. ამასვე ადასტურებენ შატობრიანი, ბალზაკი, დიუმა, კანტი, ჰეგელი, ბარბიუსი.

ქართველი ქალის სულისმიერი და ხორცისმიერი მშვენება, ხასიათის ზნეკეთილობა და ზნესრულობა შთააგონებდა როგორც პოეტებს, ასევე ფერმწერლებს ქალის იგავმიუწვდომელი სილამაზის შესაქმნელად. ყიწნევისის ანგელოზის არამიწიერი მშვენებით გაცისკროვნებული სახე თუ გელათის ღვთისმშობლის უნაზესი სევდით ალსავსე თვალების კდემა — დღესაც აღტაცებისა და მოწიწების გრძნობას ბადებს ადამიანში.

ყველა უცხოელი მოგზაური აღნიშნავს, რომ საქართველოში სილამაზე თანაბრად ამკობდა როგორც დიდებულთა ასულებს, ისე მდაბიოთა შვილებს.

მისტიკოსი ასკეტის კრისტოფორო დე კასტელის გული დაიპყრო და სამუდამოდ მოინადირა შეუდარებელი მშვენების პატრონმა, „ამ ქვეყნად ანგელოსად მოვლენილმა“ გლეხის ასულმა თამურია გიმატიამ. კრისტოფორო დე კასტელი თავის დღიურში ჩაიწერს: „სახეზე ნიშანი დამაჩნია, რათა გულში სხვა შეყვარებული აღარავინ დამეშვა. მარტოდ მყოფნო, აღფრთოვანდით! თვალები მზეს აჯადოებენ და ბაგე-აპრილს. უფრო ანგელოზსა ჰგავდა. ბრძოლა გრძელდება. ერთგულებისა და უმანკოების, იშვიათი სილამაზის მქონე“. ეს იყო არა ხორციელი ლტოლვა, არამედ ზეამაღლებული ესთეტიკური ტკბობა იშვიათი სილამაზით გამოწვეული: „საბერძნეთში შექმნილი მარმარილოს ქალღმერთ მილოსელ ვენერას სწორხაზოვან ნაკვთებთან თამურიას პორტრეტის შედარებამ, მისმა მომხიბლავმა და სწორპროფილიანმა სახემ, თამურიას ტანმა მკაფიო უპირატესობა გამოავლინა ქართველი ქალისა“ (ბ. გიორგაძე). დე კასტელის თამურია ესახებოდა, როგორც ადამიანად გარდაქმნილი სერაფიმი. დე კასტელის იგი დაუხატავს თავიდან ფრჩხილებამდე, მაგრამ, სამწუხაროდ, ნახატები დაკარგულა.

ამდენი წარჩინებული თუ გლეხის ქალის გალერეადან განსაკუთრებით გამოირჩევა მტირალი მონაზონი — ქრისტინე.

იგი თითქოს მე-17 საუკუნის საქართველოს სიმბოლური სახეა, ულონოქმნილი, ცხარე ცრემლებით დასტირის თავის დაღუპულ დედულ-მამულს, მის გაუბედურებულ შვილებს. მონაზონი ქალი მხურვალე ლოცვა-ვედრებით ხელაპყრობილი შველას შესთხოვს უფალს, ხანაც მიწაზე ფორთხავს სასონარკვეთილი და მდუღარე ცრემლით ალბობს მას, თავს ახლის სიმწრით და ემუდარება ღმერთს, დაიხსნას და დაიფაროს ქვეყანა და ადამიანები. ქრისტინეს ვინაობა ჩვენთვის უცნობი რჩება. დე კასტელი არსად მოიხსენიებს მის სახელსა და გვარს შემონაზვნობამდე და ეს არც არის მთავარი, რამეთუ თავად ქრისტინეს სახე — ჯვარზე გაკრული საქართველოს სახედ აღიქმება.

„ეჰ, ვუმზერ საქართველოს და გული ცრემლებით მევსება, უწინ დედამიწის სამოთხე რომ იყო, იგი კვნესის ქაოსად გადაქცეულა“, — მოსთქვამს ქრისტინე.

როგორც ცნობილია, იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს დამსახურება იყო, რომ რომის პაპმა ხელახალი ინტერესი გამოიჩინა საქართველოსადმი. სწორედ პიეტრო დელა ვალეს რჩევით მოხდა მისიონების დაარსება საქართველოში. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, სრულებით არ იყო საკმარისი პატრების რიცხვი, აქ რომ აგზავნიდნენ...

გულდაწყლულებული, ქვეყნის გასაჭირით შეძრწუნებული მონაზონი ქრისტინე ხსნასა და საშველს რომისგან, დასავლეთისგან ელოდება, თუმცა დიდად საიმედოს მაინცდამაინც ვერაფერს ხედავს.

„სადმე კუთხეში მიმდგარი დაი ქრისტინე ტირის აშმორებულ წყლულებზე, რომელიც ძმათა სულებს და მის ახლობელ მცხოვრებლებს ატყვიათ აღმოსავლეთის ფართო სიმარტოვეში, სადაც თითქმის ყველა წამხდარი ყოველდღე იღუპება სრულიად უმკურნალოდ“...

ეს არის მოთქმა-გოდება თავისი ერისა და ქვეყნის ტრაგიკული, გამოუვალი მდგომარეობით დაზაფრული ქალისა, რომელიც თითქოს ფარხმალს ყრის და სიკვდილს ნატრობს, მაგრამ საჭიროების დროს მაინც შემართული იბრძვის თავის თანამოძმეთა გადასარჩენად. საყურადღებოა ის წერილი, ქრისტინეს რომ მიუწერია ელენე ათაბაგისათვის — სპარსეთში...

„საქართველო ჩემი სატრფო იყო 26 წლის განმავლობაში“, — ჩაუწერია თავის დღიურში კრისტოფორო დე კასტელის. მისი უფროსი თანამემამულე, საქართველოს გულმხურვალე ქომაგი და მოყვარე პიეტრო დელა ვალე კი ერთგან აღნიშნავს: „არ ვიცი ესოდენ რატომ მიყვარს ეს ქვეყანა, შესაძლოა იმიტომ, რომ იბერიული სისხლი მირევია და მათი წარმოშობის ვარ“...

საქართველოს თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე არასდროს მოჰკლებია მტრები, მაგრამ ზოგჯერ თითოოროლა მოყვარეც მოევლინებოდა ხოლმე უშურველად, უანგაროდ რომ ჭირისუფლობდნენ და ქომაგობდნენ გაუბედურებულ ქვეყანას. მათ თავისი არსებობის უმთავრეს მიზნად მიაჩნდათ თანადგომა და თანაგრძნობა გასაჭირში ჩავარდნილი ერისადმი, სისხლისაგან რომ იცლებოდა ურიცხვ მტერთან ბრძოლებში მარტოდმარტო დარჩენილი.

ერთ-ერთი ასეთი უანგარო მოკეთე და მოყვარეთაგანი იყო სწორედ კრისტოფორო დე კასტელი, რომლის სასწაულებრივად გადარჩენილმა ალბომმა ერთხელ კიდევ ნათელყო ამ უკეთილშობილესი პიროვნების ზრახვათა სიწრფელე, გულითადობა და სიყვარული ჩვენი ქვეყნისადმი.

როცა დე კასტელი თავის ალბომს ადგენდა, ცხადია, ვერ წარმოიდგენდა, რომ სამი საუკუნის შემდეგ ის გამომზეურდებოდა მისთვის ესოდენ საყვარელ ქვეყანაში და ბევრის გულს შესძრავდა მადლიერების გრძნობით ამ უცხო მოყვრის მიმართ. ქვეყანაში, სადაც უკვდავი შოთას შეგონება — „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“, — ისევ ისე ცხოველმყოფელი სიძლიერით ჟღერს.




მატარებელი სადღაც წელს ზემოთ ჭრის თბილისს და ლამაზ არშიას ტოვებს.

ერთი, ორი, სამი — ჩამორბის გოგონა საფეხურებზე. მან იცის, როდის ჩამოივლის საბარგო.

ჯერ ნაცნობ სახეს მოძებნის, მერე მაღლა აწეულ გაუხეშებულ ხელს შენიშნავს. მამიკოო, — ყვირის.

ძვირფას სახეს ღიმილი ალამაზებს. გოგონამ იცის, მატარებელი რომ გაჩერდება, მამიკო ჩამოვა.

მათი სახლი რკინიგზის ხაზის გადაღმაა, სვანეთის უბნის ზემოთ.

ერთი, ორი, სამი... — ჯერ საფეხურებია დასათვლელი ათამდე, მერე სწორი გზაა და ამ გზას გადაირბენს, ქვემოთ ჩაუყვება, მაზუთიან ლიანდაგებთან შედგება.

რკინიგზელი მამა თავის გოგონებს ხან წითელ ვაშლს მოუტანს, ხან შაქარყინულის ნატეხს, გასუფთავდება, ხალათს გამოიცვლის, წაიხემსებს და შეკრებაზე წავა.

გოგონამ იცის, რომ მამა ბოლშევიკია, რომ სოლოლაკში ამხანაგების ჯგუფს უერთდება და მაღალი სახლის სარდაფში ჩადიან ხოლმე.

ქალაქში მენშევიკები დაპარპაშობენ. ერთ დღეს სარდაფში ჩასულ ბოლშევიკებს აპატიმრებენ და მამაც მიჰყავთ.

გოგონა შინ არის ჩაკეტილი. მისთვის მატარებელი უკვე აღარ მოდის. გარეთ გუგუნია, ვაგონების ჭახა-ჭუხი. მან იცის, რომ იქ მამა აღარ გაიღიმებს და არც ხელს ასწევს იმედიანად.

მამა საპატიმროშია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მამა შინ ბრუნდება. ის კვლავ რკინიგზელია და თავის გოგონებს ახალი ცხოვრებისათვის ზრდის.

სოციალიზმის ასაშენებლად განათლებული ხალხია საჭირო. ეს იცის მამამ და სკოლადამთავრებულ გოგონებს მოსკოვში გზავნის სასწავლებლად.

ფარმაცევტულ ტექნიკუმში მაშინვე იღებენ ქალიშვილს და სტუდენტის ბილეთს აძლევენ: „თამარ სარდიონის ასული ჩიხლაძე“.

ნიჭი თავს ვერ მალავს. თამარი პირველი სტუდენტია. პედაგოგები თხოვენ სხვებსაც დაეხმაროს. ფრიადოსნის სტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფეხურები

ნარკვევი

პენდიას უნიშნავენ, მაგრამ ფული საჭმელში ეხარჯება. ზამთარში კი მოსკოვის ყინვას ვერ უძლებს თხელი ფეხსაცმელი.

თამარს ფულს უგზავნიან შინიდან. მამამ დურგლობა იცის და გოგონებისთვის კაპიკ-კაპიკ აგროვებს. გარბის თამარი ფოსტაში და მთელი გზა ფიქრობს: იქნებ იმდენია გამოგზავნილი, რომ „ვალინკებიც“ მომივიდესო. ფული რომ გადმოანოდეს, დაითვალა, ზედმეტი მოეჩვენა.

შეფიქრიანდა, გარეთ გავიდა, კიდევ დათვალა, უცებ იფიქრა, ამ ზედმეტით დისთვისაც ვიყიდი „ვალინკებსო“.

„რაც არ გერგება, არ შეგერგებაო“. უკან მობრუნდა და თავისუფალ ფანჯარასთან მივიდა.

— მაპატიეთ, თქვენ რამდენი მომეცით?

ფანჯრის იქიდან ქალმა ბრაზიანად გადმოხედა და შეუტია:

— რაც გეკუთვნოდა, ის. რა, თვლა არ იცი?

— თქვენ ზედმეტი გადმომაყოლეთ!

ახლა ფოსტის სხვა თანამშრომლებმაც ასწიეს თავი. რომ გაიგეს ფული გადააყოლაო, წამოიწიეს და თავიდან ფეხებამდე შეათვალიერეს ქალიშვილი.

თხელ, გახუნებულ პალტოში, ეტყობოდა, კრთოდა სხეული. ფეხები დასველებოდა ზამთრისათვის შეუფერებელ ფეხსაცმელში.

— აბა, ქურქით და ბრილიანტებით ვინც მოდის, ყველა ასე არ მოიქცევა!

— ყოჩაღ გოგონა! ასახელე ქართველები!

გარეთ რომ გამოვიდა, ეგონა თოვლი დამდნარიყო და ყინვაც გაპარულიყო.

ბედნიერი მიდიოდა სველი ფეხსაცმლით.

1928 წელს თბილისის პირველ აფთიაქს ფარმაცევტი ქალი მოევლინა. თამარმა სამი წელი იმუშავა და კვლავ მოსკოვს მიაშურა სწავლის გასაგრძელებლად. ახლა მას მეტალურგის პროფესია იტაცებდა.

30-იანი წლების დასაწყისში თამარ ჩიხლაძე მოსკოვის ფოლადის ინსტიტუტის მოწინავე სტუდენტი იყო.

უჭირდა სწავლა მუშათა თაობას. თამარი პროფესორ-მასწავლებლების მარჯვენა ხელი შეიქნა, ლექციების მერე თანაკურსელებს ამეცადინებდა.



ბრწყინვალე ლითონმცოდნე, მაღალკვალიფიციური მეტალურგი — ასე დაახასიათეს აღმზრდელებმა იგი ინსტიტუტის დამთავრებისას.

ახლა კი იწყებოდა დიდი გზა, ცხოვრების ახალი საფეხურები.

ერთი საფეხური მაშინ აიარა, როცა ზაპოროჟიეში ჩავიდა სამუშაოდ, კომბაინის ქარხანა „კომუნარში“. თამარს ინსტრუმენტული საამქროს ცხელი უბნის უფროსობა მიანდეს. აქ იჭედებოდა ლითონი, ხდებოდა მისი თერმული დამუშავება, ინსტრუმენტების წრთობა.

ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის თვალუწვდენელ ველებზე რომ აქა-იქ კომბაინი გამოჩნდებოდა, კავსა და სახნისს შეჩვეულ გლეხებს მოჩვენება ეგონათ და გარბოდნენ. მერე კი ირწმუნეს მისი ძალა და კეთილმოსურნეობა, შეიყვარეს და დაკოჟრილი ხელები შეახეს.

ზაპოროჟიეს კომბაინი თამარ ჩიხლაძის ნაკეთებიც არის.

დღეს კომბაინების ნაცვლად ქარხანა მსუბუქ ავტომანქანას „ზაპოროჟეცს“ უშვებს, მაგრამ 30-იანი წლების ქარხნის

მესვეურთა შორის თამარ ჩიხლაძეც იხსენიება.

1939 წლიდან თამარი მოსკოვის „ელექტროსტალშია“. ზაპოროჟიედან მას მეუღლე ჩამოჰყვა, ისიც მეტალურგი და ეროვნებით ქართველი. მათ ორი წლის გოგონა თბილისში ჩაიყვანეს თავიანთ მშობლებთან.

თამარი ჯერ სამჭედლო საამქროშია ოსტატად, შემდეგ საამქროს უფროსი ინჟინერია, მეუღლე მდნობელად მუშაობს. უწყვეტ ნაკადად მოედინება ფოლადი. საზრიანია უფროსი ინჟინერი ქალი, რაციონალურ წინადადებებს ახორციელებს: ღუმელებზე სარეგულაციო დანადგარებს აყენებს და შრომას აიოლებს. მას პრემიით აჯილდოებენ. დაძაბული წლებია. დისციპლინას მკაცრად მოითხოვენ, დაგვიანებისა და წუნისათვის სასამართლომდე მიდის საქმე.

ზამთარია. შრომის მძიმე პირობებში თამარს მეუღლე უცივდება და ფილტვების ანთებით ელუპება.

ჰაერში ომის სუნი ტრიალებს. „ელექტროსტალი“ ფოლადს უშვებს იარაღისათვის, თავდაცვისათვის.

1941 წლის 14 ნოემბერს, დილით თამარს ქარხანა დაკეტილი ხვდება. სასწრაფო ევაკუაციაა მოსალოდნელი ციმბირისაკენ.

თამარი ცდილობს თბილისში ჩამოსვლას ბავშვთან. გზა ძნელია, ხანგრძლივი, ხან — ხმელეთით და ხან ზღვით. დღეში მხოლოდ სამი ორცხობილას ჭამის უფლება აქვს, რომელიც მოსკოვიდან მოაქვს. დღეში სამჯერ ანვდის თითო ორცხობილას ვიღაცის ხუთი წლის ბიჭუნას, რომელიც მშიერი მისჩერებია.

6 დეკემბერს კიდევ გზაშია და იგებს, რომ გერმანელები მოსკოვში ვერ შევიდნენ, უკუიქცნენ. დარდობს თამარი, რომ იჩქარა და წამოვიდა. შეიძლება ქარხანა ისევ მოსკოვშია და ამუშავდეს. თამარს უკან დაბრუნება სურს, მაგრამ შეუძლებელია.

როგორც იქნა, თბილისში ჩამოაღწია. შინ მისვლამდე დანაყრება გადაწყვიტა, რომ შინაურებს მშიერი არ ეჩვენოს. კაფეში შედის და „პონჩიკებს“ ყიდულობს. მეზობლის ქალიც იქ აღმოჩნდა, აკვირდება და ვერ ცნობს გამხდარს, დამტვერილს. შინისაკენ ერთად გასწიეს. ბავშვი არ ეკარება დედას, ტირის. მაინც ჩაიკრა პატარა ქეთო გულში და არ მოიცილა.

ჩამოვიდა თუ არა, დიმიტროვის სახელობის ქარხანაში გამოცხადდა. ფრონტს იარაღი სჭირდება. თამარი ქარხანაში მთავარი მეტალურგის მოადგილეა. საუკეთესო ლითონმცოდნე მიკროსკოპით სინჯავს ლითონს, რომ სიმტკიცე არ დააკლოს მინარევებმა.

რუსთავი — ცარიელი ველები და ქარხნის მშენებლობა, დიდი შრომა და ახალი ქალაქის დაბადება.

დაინთო მარტენისა და ბლუმინგის ღუმელები. წამოვიდა დამდნარი ლითონის ზღვა დანგრეული ქალაქების აღსადგენად.

14 წელი ბლუმინგის საამქროში გაატარა.

14 წელი ლითონმცოდნეობის ლაბორატორიაში მიკროსკოპთან იყო თავდახრილი, რომ ლითონს არ ელალატა.

ამასობაში ქალიშვილი ქეთო ჩიხლაძე მეტალურგი გახდა. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოსკოვში მიენიჭა, მანქანათმშენებლობის ინსტიტუტის საპროექტო განყოფილების მეცნიერ თანამშრომლად მიიღეს. ქეთოს მეუღლე იური ხარებავაც იმავე ინსტიტუტში მუშაობს, ისიც მეტალურგია.

საკავშირო მნიშვნელობის ინსტიტუტი ხშირად გზავნის მივლინებით ქეთო ჩიხლაძეს საბჭოთა კავშირის მანქანათმშენებელ ქარხნებში. მივლინებიდან დაბრუნებული კვლავ მივლინებაში მიემგზავრება, ბავშვების ნახვას ვერც ასწრებს, რომ კვლავ შორდება მათ, ბავშვები კი პატარები არიან და ბებიის იმედით რჩებიან.

თამარ ჩიხლაძემ თავისი ენერგია შვილიშვილებს შემოუნახა. მათთვის ზრუნვა მიაჩნია დღევანდელ სიხარულად.

წლები კი მიჰქრიან...

ყოველ წელიწადს ცხოვრების ახალ საფეხურზე ადის თამარი.

მაგრამ საფეხურებზე სიარულით ჯერ არ დაღლილა.

ლია კაკაბაძე

# სვანი ქალის დღე—„ლილაობ“

ყველამ იცის, რომ ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს კაცობრიობა აღნიშნავს 1910 წლიდან. მაგრამ არავინ იცის რამდენ წელს ითვლის ე. წ. სვან ქალთა დღე — „ლილაობ“.

რევოლუციამდე კარჩაკეტილი სვანი ქალი დღეს 8 მარტს ზეიმობს, როგორც ყველა ჩვენი რესპუბლიკის ქალი და მას ახალ-ახალი მიღწევებით ხვდება. მიუხედავად ამისა არ ივიწყებს თავის ტრადიციულ დღესასწაულს — „ლილაობს“, რომელიც დღემდე შემორჩა სვანეთში, თუმცა არა ისეთი მნიშვნელობით, როგორც ეს რამდენიმე ათეული წლის წინათ იყო.

დღესასწაული ხვდება თებერვალში ან მარტის პირველ რიცხვებში. გამოთვლა ხდება ახალი წლიდან, ახალი მთვარის მიხედვით, სამშაბათ დღეს.

ამ დღისათვის ყველა ოჯახი საგანგებოდ ემზადება, განსაკუთრებით ქალები, უფრო სწორად გათხოვილ ქალს ეხებოდა ეს დღეობა. რომელ მხარეშიც არ უნდა გათხოვილიყო ქალი, უგზოობის მიუხედავად, მისთვის აუცილებლად უნდა მიელოცათ ეს დღე, რომელიმე ოჯახის წევრს მამა იქნებოდა ეს, ძმა, ბიძაშვილი, ბიძა თუ სხვა ახლო ნათესავი. მიმლოცავს თან აუცილებლად უნდა წაეღო ორნახადი საგანგებო ქერის არაყი, რომელსაც „ლილაი“ ეწოდებოდა და დაელოცათ მათი კერიდან გათხოვილი ქალი. (განსაკუთრებით გათხოვების პირველ წელს).

გამოკრავდნენ ყაბალახში სამლიტრიან დოქს, გადაიკიდებდნენ ზურგზე, მიდიოდნენ ერთი კუთხიდან მეორეში, თოვლსა და ქარბუქში, ხან ცხენით, ხანაც ფეხით, ზვავსაც რომ გაეტანა, უკან მაინც არ დაიხევდნენ და ახლობელ ქალს კი აუცილებლად მიულოცავდნენ ამ დღესასწაულს.

ამ დღისთვის ქალიც საგანგებოდ ემზადებოდა: სახლის ყველა კუთხეკუნჭულს დაასუფთავებდა, თვითონაც ახლებს ჩაიცვამდა, (თუ მგლოვიარედ იყო თალხებს ჩაიცვამდა), წინასწარ აუცილებლად მოიმარაგებდა საჩუქარს — თავის ნახელავს — ზოგი წინდას ქსოვდა, ზოგი ქუდს ან ყაბალახს შეკერავდა, პაჭიჭებს მოქსოვდა და ა. შ.

საზეიმო სუფრა საღამოს გაიშლებოდა, მოსული ლოცავდა და არიგებდა ქალს: ყოფილიყო კარგი დედა, ღირსეული მეუღლე, უსურვებდა არ შეერცხვინა თემი ე. ი. დედ-მამის ოჯახი და სხვა, თემში ღირსეული ყოფილიყო.

გარდაცვალების შემდეგ, გათხოვილ ქალს პირველ წელს აუცილებლად მიუტანდნენ „ლილაის“, როგორც ცოცხალს. სხვათაშორის ეს წესი ჩვენში დღემდე შემორჩენილია.

როცა ქალები ერთმანეთს წაეკიდებოდნენ და დაწყევლიდნენ, „ლილაოს“ მომტანი, ე. ი. თვისტომი, გაგიწყდესო, ასეთი წყევლა დიდ დანაშაულად ითვლებოდა.

ამ დღეს ქალის წყენინების უფლება არავის ჰქონდა, ქალს შეეძლო საკუთარი სურვილისამებრ ემართა ოჯახი.

თუ ვინმეს „ლილაის“ არ მოუტანდნენ — ე. ი. ამ დღეს არ მიულოცავდნენ, შეეძლოთ ესაყვედურათ, ღირსი არ ყოფილხარ „ლილაის“ მოტანისაო.

ასეთია ძირითადად სვანი ქალის „8 მარტი“, თუმცა ამაზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება.

თამარ გადრანი

# ზაფხულია, ცხელა, ცხელა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი-მოდელიერი ნანა ცქვიტაია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ციალა სვანიძე — იუბილარი

# ლამაზი სულის ადამიანი

ორი მოზრდილი ალბომი ძლივს იტევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა საბჭოს ბოლო წლების მანძილზე განეული მუშაობის ამსახველ ჩანაწერებს. საბჭომ არსებობის ორმოცი წლის იუბილე ახლახანს იზეიმა. მისი პირველი თავმჯდომარე ნინო ციციშვილი გახლდათ, ახლა მას სათავეში პროფესორი ციალა სვანიძე უდგას.

ციალა სვანიძემ საბჭოში მოღვაწეობა ათი წლის წინ საინტერესოდ დაიწყო და ასეთივე ენთუზიაზმით აგრძელებს დღესაც. მან საბჭოს წევრებთან ერთად იმოგზაურა და შეფობა იკისრა მესხეთ-ჯავახეთის, სარფის, ორჯონიკიძის (ქართული), ბარისახოს, წერაქვისა და ჭერმის ახლადგახსნილ სკოლებზე, თითოეული მათგანი მოამარაგა მეთოდური მასალით, სასწავლო ხელსაწყოებით, სახელმძღვანელოებითა და მხატვრული ლიტერატურით. ბევრ ძნელად გადასაჭრელ საკითხს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს უთანხმებს და ერთად წყვეტენ. თითოეულ სკოლას 2000 ცალზე მეტი წიგნი გაუგზავნეს ერთობლივად. მათ ამ საქმეში განსაკუთრებით ეხმარება გამომცემლობათა დირექტორები, რომლებიც ურთიერთ კავშირში არიან და დროულად აწვდიან ცნობებს ამა თუ იმ ახალი წიგნის დასტამბვის თაობაზე.

განსაკუთრებით დიდი სითბო და ყურადღება გამოიჩინა ქალთა საბჭომ ფერეიდნელი ქართველების მიმართ. მათთვის საგანგებოდ მოაწყო საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, იზრუნეს ბავშვების ბაგა-ბაღებსა და სკოლებში მოწყობაზე, შეისწავლეს ოცდასამივე ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობები, ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ახალი გარემოს შესაგუებლად. ციალას პირადი ინიციატივითა და საბჭოს წევრების ხელშეწყობით ქართული და რუსული ენების უკეთ დაუფლების მიზნით მიუჩინეს პენსიონერი პედაგოგები, რომლებიც ადგილებზე აკითხავდნენ ახალმოსახლე ფერეიდნელებს. იზრუნეს ქალების სამუშაოზე მოწყობაზე. სპეციალურად მათთვის მოაწყო ქალბატონმა ციალამ ექსკურსია, 130 კაცს დაათვალიერებინა ლენინგრადი, ათონის მღვიმე, ქალაქი ბათუმი.

ყოველი თვის ბოლო ორშაბათს, როცა ქალთა საბჭოსათვის საჭირო მასალა საკმაოდ გროვდება, წინასწარ შემუშავებული გეგმის საფუძველზე იმართება ქალთა საბჭოს სხდომა ე. წ. მუდმივმოქმედი ლექტორიუმი, რომელზეც სისტემატურად იწვევენ ისტორიის, სამართალმცოდნეობის, ეკონომიკის, ფიზიკის, ესთეტიკის, სოციოლოგიის დარგში მომუშავე ცნობილ ლექტორებს, რომლებიც მოუთხრობენ საბჭოს წევრებს მათთვის საინტერესო პრობლემების შესახებ. საბჭოში 60 ქალია გაერთიანებული და ოთხ სექციად მუშაობს. სექციებს თავიანთი მოვალეობა დარგების მიხედვით აქვთ განაწილებული. ერთ სექციას სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში მოწყობის, კვების, ში-

გიენის, წესრიგის დაცვის საკითხები ავალიათ... მეორეს — თანამშრომელთა შვილებისა და შვილიშვილების სკოლებში აკადემიური მაჩვენებლებისა და დისციპლინის საკითხი; მესამე — ამ ბავშვების რუსული და უცხო ენების შემსწავლელი წრეებისა და ფერწერის ჯგუფს მეთვალყურეობს. მეოთხე — ამოწმებს პოლიკლინიკებისა და სტუდენტთა მომსახურე სასადილოების მუშაობას. ქალბატონი ციალა დროდადრო აყენებს საკითხს რექტორატისა და გაერთიანებული პროფორგანიზაციის წინაშე, რათა გაითვალისწინონ სტუდენტთა და მომსახურე პერსონალის საჭიროებები.

წმინდა მორალი სათავეა ნესიერი, ჰარმონიული ოჯახის შექმნისა. ესეც ევალება ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს და ისიც დროდადრო ესაუბრება სტუდენტებს ოჯახის, მორალის საკითხებზე, იხედება საცხოვრებელი კორპუსების კუთხე-კუნჭულში. განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდება ახლადშექმნილ სტუდენტურ ოჯახებს, ხელმოკლე და მარტოხელა დედებს, არიგებს, ეთათბირება მათ. არც პენსიონერებს აკლებს ყურადღებას.

ბევრს ფიქრობს თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარებაზე. სად და როგორ დავისვენოთ შაბათ-კვირას? სვამს კითხვას და თვითონვე საქმით უპასუხებს — მიდიან ქალაქგარეთ, ისვენებენ თბილისის მიდამოებში, ტბებზე, ახლომახლო კურორტებზე, ორგანიზმს იკაჟებენ სპორტულ მოედნებზე, ჩოგბურთის კორტებზე. ეს უფრო აახლოებს მათს ოჯახებს.

ცოდნის შეძენისა და გაღრმავების მიზნით მეცნიერი ისტორიკოსებისა და არქეოლოგების თანხლებით აწყობს ექსკურსიებს. მოინახულეს ნასტაკისის, ვანის, გეგუთის, ბორჯომის ხეობის, მარტვილის, ნაქალაქევის გათხრები, საქართველოს ფარგლებს გარეთ კი — ზოგიერთი ღირსშესანიშნავი ისტორიული ადგილი...

ფინჯან ყავაზე, ფინჯან ჩაიზე... რამდენ გამოჩენილ მეცნიერთან, მსახიობთან, საზოგადო მოღვაწესთან გაუტარებიათ გულთბილი, დასამახსოვრებელი საღამოები, დაუპყრიათ მსმენელი ლექსების კითხვით, სიმღერების მოსმენით, მას ბევრი შეხვედრა და საუბარი მოუწყვია ოჯახზე, შვილების უკეთ აღზრდაზე, ცხოვრების საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრაში ქალის როლსა და ადგილზე.

...ყველაფერი ეს საზოგადოებრივ საწყისებზე ხდება. სტუდენტები, მათთან გატარებული წლები, ლექციები, ასპირანტები, სამეცნიერო მოღვაწეობა — აი, რა არის მისი ცხოვრების აზრი.

ციალა სვანიძის ლექციები საინტერესო და შინაარსიანია. ასეთივეა პირად ცხოვრებაში, მუდამ მეგობრებითა და ახლობლებით გარემოცული. მისი ლამაზი სულის შუქი ნათელს ჰფენს სტუდენტების ცხოვრების გზას, იგი ადვილად პოულობს სტუდენტის გულისკენ მიმავალ ამ გზას. პროფესიაც საინტერესო აურჩევია — გეოლოგია, უფრო ზუსტად — პალეონტოლოგია. სტუდენტობისას კარპინსკის სახელობის სტიპენდიანტი გახლდათ, ფრენბურთელ ქალთა გუნდის კაპიტანი იყო. სპორტი, კერძოდ ფეხბურთი მისი ჰობია. ალბათ გახსოვთ ამას წინათ გაზეთ „თბილისში" დაბეჭდილი საინტერესო სტატია „24 მამაკაცი და... ერთი ქალი", რომელშიც ლაპარაკი იყო მასზე, როგორც თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტთან შექმნილი ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბის პრეზიდენტზე. დიახ, ოცდაოთხ მამაკაცს გვერდს უმშვენებს ერთადერთი ქალი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ციალა სვანიძე. მან ვადაზე ადრე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მისი სადოქტორო დისერტაციის თემა „საქართველოს იურიული ფლორა" გახლდათ. ორი მონოგრაფიისა და 40-ზე მეტი ნაშრომის ავტორია, აღზარდა ორი ასპირანტი. პალეონტოლოგია, პალეობოტანიკა, ისტორიული გეოლოგია და გეოლოგიის შესავალი — აი მეცნიერების რა დარგებში კითხულობს ლექციებს.

მოულოდნელად, როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე, სასაუბრო ძაფი გაწყდა, მეცნიერი ქალი წარმოსახვამ შორეთში გადატყორცნა, ოდნავ ჩაფიქრდა და კვლავ განაახლა თხრობა:

— იცით, რა წარმოვიდგინე უცებ? სიბერე, გარდაუვალი მოხუცებულობა, ერთი წუთით სული შემემღვრა, ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა დადგეს ეს დროც. მართალია, ჯერჯერობით შორეულად მესახება იგი, მაგრამ ამ ქვეყნად არ მეგულება ადამიანი ამაზე არ ჩაფიქრებულიყოს, პირობითად გარდაუვალ შემოდგომას დავარქმევ მე მას! მერწმუნეთ, არც მაშინ ვიქნები ხელმოცარული და მოცლილი. ჩემი განვლილი წლების მოგონებები, გაწეული საქმიანობა, ადამიანების გვერდით გატარებული ეს დღეები რამდენ რამეს გამახსენებენ.

მოღვაწე ქალის ჭკვიან თვალებში იკითხება, რომ მისი სასაუბრო თემა ამოუწურავია, თვალსაწიერი — ფართო. ემჩნევა უყვარს პოეზია, ხელოვნება, ძველი მწერლობა, მაგრამ იმ დასამახსოვრებელ საღამოს დიდხანს მიიპყრო ჩემი ყურადღება არა ცნობილი პოეტების, არამედ მისი სტუდენტების ლექსების კითხვით. რიგრიგობით ჩამოთვალა მათი სახელები: მარიკა, მალხაზი, ნუგზარი, მიშიკო, ჩემი საუკეთესო სტუდენტებია, ლექსების წერაც ემარჯვებათო, რამდენიმე ადგილი ზეპირადაც წამიკითხა. უთუოდ ასეთი გულისხმიერების წყალობაა, რომ ეს ლამაზი სულის ადამიანი ყველაფრისთვის იცლის, ყველას, დიდს თუ პატარას თავის წილ სიკეთეს უეჭველად მიაგებს.

ნანული ბუკია

ლევან ბაგუხადია

## [illegible]

თეთრი მანანა დახვევია
ტყემლების რტოებს, —
იცრემლებიან სიხარულით
რუხი ვაზები...
შე დღეს ყოველი ბინდისფერი
აჩრდილი მტოვებს
და სითეთრეში იძირება
ჩემი თვალები.

* * *

ო, გაზაფხულის ლურჯო წვიმებო,
გადილეთ ოდნავ! —
სევდის მდინარე იწრიტება,
ვნების ზღვა ბორგავს...
შეწამულ ზეცას, ზეციერო,
უცვალე ფერი!
თორემ საოცრად მემცირება
დღეს ყველაფერი...
ო, დიონისო, ნუ მაცდუნებ!
ნურც შენ, ეროსი! —
ცას ვეტრფი, მაგრამ მიწა მიყვარს
საქართველოსი!

## მეზობლის გოგოს

ათი წლის მიყვარდი ისევ,
თურმე გამხდარხარ ოცის —
შენ ოცის თვალებს მისევ,
მე კი ათისას გკოცნი.

თუმც მეშინია შენი,
ვალს დაჟინებით მოგთხოვ:
მე დამიბრუნე ჩემი
ათი წლის კუდრაჭა გოგო.

* * *

შენით არის, თუ არ მჯერა
სიახლოვის დასრულება,
და მით უფრო მიყვარდება
საქართველოს ასულები...

თვალწინ მიდგას შენი რაჭა,
თქვენი ნაქცევაზე სახლი,
ჭირს ვენახზე შარის გაჭრა
და შამბნარი სახლის ახლოს...

ის ბავშვობა ქალაბიჭა
ზღაპარივით გახსოვს ახლაც,
მერე ყველამ „იძველბიჭა"
და იქ აღარავინ სახლობს.

ბარში დახლებს ნახულობენ,
ქვე მოდიან რაჭველები...
რომ ჩადიხარ ზაფხულობით,
გთხოვ, ამას ნუ დაჯერდები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მარიკა ბარათაშვილი** **იუმორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ არ შეირთავ ცოლს?



მხატვარი ცინარა ფერელაძე

გთხოვთ, ნუ შემეკითხებით და დამწვარზე მდუღარეს ნულა მასხამთ!..

ადრე, ამ 10-15 წლის წინ საღამოს შინ რა გამაჩერებდა. თეატრი, კინო, კონცერტი, ნათესავ-მეგობარ-ნაცნობები... განა შეიძლებოდა ახალი სპექტაკლი, ფილმი არ მენახა, კონცერტს არ დავსწრებოდი, მახლობლებისათვის არ მიმეკითხა, მათი ჭირი თუ ლხინი არ გამეზიარებია?

ახლა კი ქუჩაშიც ქურდულად დავიპარები — ნაცნობ-ნათესავს ვემალები. ის კი არა, ტელეფონის ზარის ხმასაც წონასწორობიდან გამოვყავარ, რადგან ვიცი, ვიცი ვინ და რაზეც უნდა გამომელაპარაკოს, ბოლოს უეჭველად შემეკითხება: „კი, მაგრამ ასე მარტოდ როდემდე უნდა იყო, ცოლს აღარ ირთავ?" ზოგიერთი მაქილიკებს კიდეც, კაცი რომ ქორწინების ასაკს გადააბიჯებს, ეშმაკიც ველარ შეაცდენსო. და ყველა მათგანი, როგორც წესი დედაჩემს იცოდებს: საწყალი ერთადერთი შვილი გააჩნია და ისიც ისე უგულო და უგერგილო, რომ რძალი და შვილიშვილი არ აღირსაო. მაგრამ ყველაფერი ეს, ჩემო კეთილებო, ადვილად ითქმის...

არადა, სადაცაა ორმოცდახუთი წელი შემისრულდება, ჩემი ტოლები ბაბუებიც კი არიან, მე კი ვერა და ვერ გადავდგი ეს საბედისწერო ნაბიჯი. უბედურება ისაა, რომ დედისერთა ვარ, მისი სანთელი და სალოცავი — ჩემისთანა თუ დადის კიდევ დედამიწაზე, ვერც წარმოუდგენია. ჰოდა მის საამებლად ნაცნობ-უცნობი მოყვება ჩემს ქება-დარიგებას: არ მოტყუვდე და უხეირო არავინ შემოგივარდეთ ოჯახში, იმისი ღირსი კი ხარ, რომ შენი ცოლი ყოველმხრივ შემკული იყოს და კარგი ოჯახისშვილიცო და ამას უეჭველად მოაყოლებენ ისტორიებს, თუ ვის, როგორ ვერ გაუმართლა ბედმა, როგორ დაენგრა ოჯახი და აუწიოკდა შვილები, უჭკუო, უწესო და უკეთური ცოლის გამო.

ვუსმინე, ვუსმინე და ბოლოს გადავწყვიტე, ყური ალარავისთვის მეთხოვებინა. მადლობა ღმერთს, დედაჩემი თვალწინ მყავდა — სამაგალითო ქალი, კედლიდან კიდევ მისი სიყმაწვილე გადმომცქეროდა: სათნო, ნაზი, ისეთი, ტანწერწეტა, რომ იფიქრებდით ხელი რომ ახლო, წელში გადატყდებაო. რაც თავი მახსოვს, დედაჩემი სულ იმ თავისი სინარნარით იწონებდა თავს და ახლაც ხომ ასეთი ქალებია მოდაში! მეც მყავდა შეგულებული ერთი გოგონა... ჰოდა ავდექი და მოვუყვანე დედაჩემს გასაცნობად.

დედას, კარი რომ გაგვიღო, ფერი ეცვალა. ვუთხარი, ჩვენი თანამშრომელია მეთქი და ცოტა დამშვიდდა, სადილითაც კი გაუმასპინძლდა. მაგრამ ქალიშვილმა საჭმელს პირი არ დააკარა — განტვირთვის დღე მაქვსო. რომ წავიდა, დედაჩემმა ამოიოხრა: „უბედური, მაგისი მშობლები, როგორ თვალსა და ხელს შუა ეცლებათ წვითა და დაგვით გაზრდილი შვილი!.. განტვირთვის დღეო, ა? მაინც რა დატვირთვა მაგასა აქვს — ძვალია და კანი! ან რა ფერი აძევს! წელი გადაწყვეტაზე, ფეხები მაკარონივით... ეგ გააჩალებს ოჯახს და გააჩენს შვილს? მეტი არაა შენი მტერი! მაგრამ ხომ შეიძლება, ვისმეს, მოდისთვის დარეხვილს მოეწონოს და წამოიკიდოს ზურგზე ეგ აჩონჩხილი ძვლები, ა? ვუიმე, ჯვარი აქაურობას!"

ახლა ამ საზომით დავიწყე ქალის ძებნა და მივაგენი კიდეც: საშუალო სიმსუქნის, სიმპათიური სახის, თან ინგლისური ენის სპეციალისტი. დედაჩემი კეთილად შეხვდა და როგორც ქალიშვილის კულტუროსნობას შეჰფეროდა, ყავით გაუმასპინძლდა. სტუმარმა ყავა რომ მიირთვა, სიგარეტი გააბოლა. რა იცოდა, რომ ჩვენს ოჯახში თამბაქოს არ ეწევიან! დედას ხველა აუტყდა და მთლად გადაფითრდა. ქალიშვილი მალე დაგვემშვიდობა და ეს ჩემი მეორე ცდაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ავარიით დამთავრდა.

ამ გამოცდილებით დაბრძენებულმა, განვაგრძე ახლა ისეთი ქალიშვილის ძებნა, რომელიც დედაჩემის ზოგიერთ მოთხოვნას აკმაყოფილებდა და თამბაქოსაც არ ეწეოდა. ერთი წლის ძებნის შემდეგ მართლაც ალმოვაჩინე და ეს კანდიდატურაც წარვუდგინე სადედამთილოს. შევატყვე, დედაჩემი რომ ისევ აღელდა, მაგრამ მალე დასძლია თავს და ქალიშვილი ხილზე მიიპატიჟა.

ვერ გეტყვით, დედაჩემის არც თუ მიამიტური ჩანაფიქრისა თუ სტუმრის გულუბრყვილობით მოხდა, რომ კულინარიაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ საუბარს კარგი არაფერი მოყოლია.

— შვილო, მითხრა დედამ, სტუმრის წასვლის შემდეგ — ვერ მეტყვი, სად პოულობ ასეთებს? ქალმა რომ არც საცივის გაკეთება იცოდეს, არც ტოლმისა, არც

ფხალეულის და კრემი რაა, — იმასაც ვერ მოხარშავს, ცოლად გამოგადგება? ალბათ მაგათ ოჯახში ბინაც არ ლაგდება და ნაგავში იხრჩობიან.

ახალგაზრდა ვიყავი, მჯეროდა, რომ ჩემი ბედი ჯერ კიდევ წინაა და ახლა კულინარული მაჩვენებლებით დავიწყე ბედის ძიება. და აი, თითქოს ბედმა გამიღიმა და როდესაც დავრწმუნდი, რომ ჩემი საბედოს ბინას კრიალი გააქვს და დიდებული კულინარიც არის, მისი გამომცხვარი ტორტით ხელდამშვენებული მივაყენე ჩვენი ბინის კარს.

დიდი ენთუზიაზმით არც ამ კანდიდატურას შეხვედრია დედაჩემი, მაგრამ სადილად რომ დავსხედით და ქალიშვილმა კულინარული ხელოვნებისა და ბინის მოვლა-დალაგების ღრმა ცოდნა გამოამზეურა, ბრძოლა მოგებულად ჩავთვალე. მაგრამ რაღაც ეშმაკად ახლა მშობლებისა და შვილების ურთიერთობაზე ჩამოვარდა სიტყვა და სტუმარმა, ალბათ დაუფიქრებლად, წამოროშა, რომ არც საკუთარ დედას და არც საერთოდ არავის მისცემს მის ოჯახურ საქმეებში ჩარევის უფლებას.

ესეც რომ გავაცილე და შინ შემოვბრუნდი, დედაჩემმა კატეგორიულად განმიცხადა:

— აირჩიე, ან მე, ან ის ქალბატონი!

და დედისერთები გამიგებთ, ისიც რატომ დავკარგე.

ცოტა არ იყოს, გული გამიტყდა. აბა, სად ვიპოვო ისეთი ქალი, რომ ლამაზიც იყოს, ჭკვიანიც, განათლებულიც, კარგი ოჯახის შვილიც, ცხვარივით მორჩილიც, საუკეთესო კულინარი და დიასახლისიც და სასმელსა და სიგარეტსაც რომ დასანახად ვერ იტანდეს.

და მაინც ჯიუტად განვაგრძობ ძებნას... მაგრამ საკმარისია ამ იდეალს ვიღაც მივამსგავსო, რომ უეცრად გამკენწლავს აზრი: „ვინ იცის, კიდევ რა ახალი, ჩემთვის წარმოუდგენელი მოთხოვნა აქვს დედაჩემს გამზადებული მომავალი სარძლოსათვის?“

ასე მიდის დღეები, წლები... ჰოდა ამას წინათ დედაჩემი რომ ჩვეულებრივ ანუწუნდა: რა ვქნა, ერთადერთი ვაჟი რომ მრჩება უცოლშვილოდ! ოჯახის მოვლაც მიჭირს და ხომ არც ის ვიცი, ან დღეს რა მოაქვს, — ან ღამეს და რამ მომასვენოსო, მეზობელმა ვითომდა ხუმრობით ურჩია: ქალბატონო ეკატერინე, მიგეხედ-მოგეხედათ იქით-აქეთ, ეგებ თქვენს ტოლებში შეგერჩიათ თქვენი მოსაწონი სარძლოო.

იხუმრონ, იხუმრონ... მადლობა ღმერთს, ჯერ 45 წელს არ გადავცილებულვარ და ხომ შეიძლება ვეწიო ჩემი ბედის ვარსკვლავს — ისეთს, დედაჩემს რომ გაუნათებს, თორემ ჩემს მოწონებას რა აზრი აქვს!

მხოლოდ მთავარია, გავუძლო ნათესავმეგობრების შემოტევებს: — რად არ ირთავ ცოლს? ჰო, ჰო, მაინც რად არ ირთავ ცოლს?

# თოფმოუშორებელნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარზე შაშხანაგადადებულ დედას ხელში ბავშვი ჰყავს აყვანილი. ეს ანგოლელ ქალთა ორგანიზაციის ემბლემაა.

სახალხო ანგოლის ეს ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია დღეისათვის ქვეყნის 940 ათას მცხოვრებს აერთიანებს.

ანგოლელ ქალთა ორგანიზაცია 1961 წელს დაარსდა და მაშინვე ჩაება კოლონიზატორებისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში. ანგოლელი ქალები კაცების მხარდამხარ იარაღით იბრძოდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ბევრი მათგანი ვერ შეესწრო ახალი ცხოვრების განთიადს. ანგოლაში წმინდად ინახავენ დეოლინდა როდრიგეშის, ლუკრეცია პაიმის, ტერეზა აფონსუს, ენგრაცია დუშ სანტუშის, ირენ კოხენის და სხვა გმირების ხსოვნას, ხსოვნას იმ ქალებისას, რომელთაც თავი გასწირეს ნათელი მიზნისათვის და 1967 წელს მხეცურად აწამა პორტუგალიის ოხრანკამ.

დღეს მათს თანამებრძოლებსა და მიმდევრებს ძირითადად მშვიდობიანი ამოცანები აკისრიათ. ანგოლელ ქალთა ორგანიზაციის 18 საპროვინციო, 164 მუნიციპალური და 684 კომუნალური კომიტეტი, აგრეთვე 11515 საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შექმნილი სექცია დიდ შრომას ეწევიან, რათა ქალებმა მიაღწიონ იმას, რომ ახალი საზოგადოების სრულუფლებიანი მშენებლები იყვნენ: ორგანიზაციის ინიციატივით, წლეულს 73 ათასი ანგოლელი ქალი მონაწილეობდა ყავის მოსავლის აღებაში.

129 ათასი ქალი შრომობს გლეხთა ასოციაციებში, 12 ათასზე მეტი კი — საწარმოო კოოპერატივებში. ათობით ქალი სხვადასხვა სპეციალობას დაეუფლა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ კურსებზე. ზოგიერთი მათგანი უკვე ტრაქტორის საჭესაც უზის.

დიდია ანგოლელ ქალთა ორგანიზაციის წვლილი წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ორგანიზაცია სხვა ბევრ, შეიძლება არც ისე თვალსაჩინო, მაგრამ მნიშვნელოვან ამოცანასაც ისახავს. ის კონტროლს უწევს სკოლებსა და საბავშვო ბაღებს, მუდმივად ეხმარება იმ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც რასისტებისა და კონტრრევოლუციონერთა შეიარაღებული ბანდების ხელით დაიღუპნენ.

ანჟელინა როზა ტოვარეშს ჩვენ ლუანდაში, ანგოლელ ქალთა ორგანიზაციის პირველ ყრილობაზე შევხვდით მარტის დასაწყისში. რესპუბლიკის 18 პროვინციიდან ანგოლელ ქალთა 386-მა საუკეთესო წარმომადგენელმა თავი მოიყარა დედაქალაქში. ფორუმმა ანჟელინა ერთხმად აირჩია თავის პრეზიდიუმში. ბევრი დელეგატის სიტყვა მღელვარედ, გულში ჩამწვდომად გაისმოდა ტრიბუნიდან. განსაკუთრებით ანგოლელ ქალთა ორგანიზაციის ეროვნული კოორდინატორის, შრომის პარტიის წევრის რუტ ნეტოს გამოსვლა დამახსომდა. ის შთამბეჭდავად ლაპარაკობდა სამხრეთ აფრიკის ჯარების მიერ ანგოლის ტერიტორიის ნაწილის უკანონო ოკუპაციაზე, საერთაშორისო იმპერიალიზმის გამუდმებულ პროვოკაციებსა და ანტიანგოლური მარიონეტული ბანდების გააქტიურებაზე. მაგრამ მისი სიტყვა აღსავსე იყო ოპტიმიზმით, იმის რწმენით, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმე საბოლოოდ გაიმარჯვებს, მთელი ანგოლელი ხალხი და მათ შორის ქალები არ გადაუხვევენ ახალი, ადამიანის მიერ ადამიანის დაჩაგვრისაგან თავისუფალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის არჩეული გზიდან.

დღეს ანგოლელი ქალები, — თქვა მან,— წარმატებით წყვეტენ შრომის პარტიის პირველი ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს.

ანგოლელი ქალები დიდად აფასებენ იმას, რომ თავიანთი მოღვაწეობის ყველა სფეროში გრძნობენ შრომის პარტიისა და სახალხო ხელისუფლების მუდმივ ზრუნვას. შარშან დეკემბერში ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, პარტიის თავმჯდომარე ჟ. ე. დუშ სანტუში ეწვია ანგოლელ ქალთა ორგანიზაციის ეროვნულ კომიტეტს, შეხვდა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, ყურადღებით გაეცნო მათს მდგომარეობასა და საჭიროებებს. ქალთა ორგანიზაციის აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდა შპლა შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ევარიშტუ დომინგუში. მან აღნიშნა, რომ საჭიროა ანგოლელ ქალთა ხანგრძლივი ემანსიპაცია, რესპუბლიკაში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობაში მათი უფრო მეტი აქტიურობა; საჭიროა მათ იცოდნენ წერა-კითხვა, ფლობდნენ სხვადასხვა პროფესიას, მათ შორის ტექნიკურ პროფესიებსაც.

ფორუმზე სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის პრეზიდენტმა. მან ანგოლელ ქალთა ორგანიზაციის წევრებს მოუწოდა, — ეკონომიკური და შინაპოლიტიკური ამოცანების განხორციელებასთან ერთად იბრძოლონ იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, ფაშიზმის, სიონიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირონ მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიან საერთაშორისო ურთიერთობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ორგანიზაციამ უკვე ბევრი რამ გააკეთა. დიდი ყურადღება ექცევა ანგოლელ ქალთა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდას. მასობრივი ღონისძიებები ხორციელდება სამხრეთ აფრიკის, ნამიბიის, სხვა ქვეყნების იმ პატრიოტებთან სოლიდარობისათვის, ვინც იბრძვის პროიმპერიალისტური რეჟიმის, ტირანიის დამხობისათვის, უცხოეთის მონოპოლიის მოსპობისათვის. ქალთა ორგანიზაცია აქტიურად ავითარებს საერთაშორისო კავშირებს, მონაწილეობს პროგრესულ საზოგადოებათა სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებში, სადაც მტკიცედ დგას ანტიიმპერიალისტურ პოზიციებზე.

ორგანიზაციას მეგობრული კავშირი აქვს საბჭოთა ქალების კომიტეტთან, მათ კარგად ახსოვთ 1979 წელს ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა ქალების დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას მეთაურობით. 1982 წლის დეკემბერში კი ანგოლელ ქალთა ორგანიზაციის მდივანი (საერთაშორისო კავშირების დარგში) ლ. შონგოლოლი ანგოლელ ქალთა სახელით მოსკოვში ჩამოვიდა და სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ზეიმში მონაწილეობდა.

სახალხო ანგოლის ქალები რწმენით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს. მათ სწამთ საკუთარი ძალაც და დამოუკიდებელ აფრიკასთან, სოციალისტურ ქვეყნებთან, უწინარესად კი საბჭოთა კავშირთან სოლიდარობის სიმტკიცეც.

ნიკოლოზ სემიონოვი

ლუანდა

## ადამიანი რომ ჯანმრთელი იყოს

# რა იწვევს ენურეზს

ჩვენს წინ არის რამდენიმე წერილი, რომლითაც „საქართველოს ქალის“ ახალგაზრდა მკითხველები იტყობინებიან თავიანთი „უბედურების“ — შარდის შეუკავებლობის (ენურეზის) შესახებ და დახმარებას — რჩევას ითხოვენ.

უპირველეს ყოვლისა, გვინდა, მათ ვამცნოთ, რომ თუ კი ექიმს დროზე მივმართავთ, ეს არც ისეთი „უბედურებაა“, როგორც წარმოუდგენიათ, და უმეტეს შემთხვევაში, სრულიად ინკურნება;

ამ დაავადებას სხვადასხვა მიზეზი იწვევს და საჟურნალო სტატიით მასზე პასუხის გაცემა იოლი არ გახლავთ.

გვინდა შევახსენოთ, რომ არცერთი დაავადება სამარცხვინო არ არის. ექიმი, (თუკი იგი ნამდვილი ექიმია და ერთგულია ჰიპოკრატეს ფიცისა), ვალდებულია დაიცვას ავადმყოფის საიდუმლო!

მხედველობაში ვღებულობთ რა ზოგიერთი ავადმყოფის დაუძლეველ მორცხვობას, ვეცდებით ზოგადად, მცირე რამ გამცნოთ ამ დაავადების შესახებ.

შარდის შეუკავებლობა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დაავადება გახლავთ, რომელსაც სამედიცინო ენაზე ენურეზი ეწოდება (წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან და ნიშნავს შარდვას). ამრიგად, ენურეზი შეიძლება ადამიანს ემართებოდეს დღისითაც და ღამითაც; ძილშიც და ღვიძილშიც, უფრო ხშირად კი ღამის ძილის დროს. როგორც წესი, ღამის ძილის დროს უნებლიე შარდვას, წინ უძღვის მოუსვენრობა, აქტიური მოძრაობა, მაგრამ ეს ბავშვს არ აღვიძებს. როცა ასეთი ბავშვები გამოირკვიეს, ნათელი გახდა, რომ უმეტეს შემთხვევაში, დაავადება მთელი რიგი მიზეზებით იყო განპირობებული, როგორიც გახლავთ ნერვული სისტემის დარღვევა, — იოლად აღგზნება, ხასიათის ცვალებადობა (ბავშვი ხან ზედმეტად მხიარულია, ხან კი მოწყენილი), გადაჭარბებული მორცხვობა და სხვა. სამწუხაროდ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი უფრო აძლიერებს და აღრმავებს თვით დაავადებას.

რადგანაც ენურეზის გამომწვევი მიზეზი სხვადასხვაგვარია, გადავწყვიტეთ, ამჯერად გესაუბროთ ერთ-ერთ მათგანზე — ნევროზული წარმოშობის შეუკავებლობაზე.

როცა წლინახევრის ბავშვი ძილში შარდავს ეს, რა თქმა უნდა, დაავადება არ არის; მაგრამ თუ ბავშვი 2, 3, 4 წლის და შემდგომ ასაკში კვლავაც იშარდავს, აქ შესაძლოა რაიმე დაავადებასთან გვქონდეს საქმე და დაუყოვნებლივ უნდა მივმართოთ ექიმს, რათა დროულად დავადგინოთ მიზეზი და ასევე დროულად დავუწყოთ მკურნალობა.

მეტწილად, ნერვოზით ავადდებიან ისეთი ბავშვები, რომელთაც ყოცა-ცხოვრების პირობები და ოჯახური გარემო ჯანსაღი არა აქვთ. გოგონებთან შედარებით ენურეზით ვაჟები სამჯერ მეტად ავადდებიან, რაც ხშირად გარკვეულ სულიერ ტრავმასთან არის დაკავშირებული. კრიტიკულად უნდა ჩაითვალოს 7-5-9 წლის ასაკი. ასაკის მატებასთან ერთად დაავადებულთა რიცხვი კლებულობს, ხოლო სქესობრივ მომწიფებასთან ერთად ხდება თვითგანკურნებაც. გამონაკლისის სახით დაავადება 25 წლამდე გრძელდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობით ფაქტორს (ე. ი. დედა, მამა ან სხვა ახლო ნათესავი ხომ არ იყო ამავე სენით შეპყრობილი); დედის მძიმე ორსულობას ან პათოლოგიურ მშობიარობას; ბავშვმა ხომ არ გადაიტანა რაიმე ფიზიკური, სულიერი ტრავმა, ინფექცია; ხომ არა აქვს ხერხემლის (წელის არეში) მალების რაიმე დეფექტი; შარდის ბუშტის სისუსტე, ენდოკრინული სისტემის რაიმე დარღვევა და ა. შ.

ძველთაგანვე იყო შენიშნული ნერვული სისტემის ფუნქციური მდგომარეობისა და ენურეზის კავშირი. ამ 20 წლის წინათ ჩატარებულმა პირველმა ელექტროენცეფალოგრაფიულმა გამოკვლევებმა ნათელი მოჰფინეს ენურეზის განვითარების მექანიზმებს, რითაც მეცნიერულად დასაბუთდა X საუკუნის დიდი მეცნიერის ავიცენას ვარაუდი ძილის დარღვევასა და ენურეზის კავშირის შესახებ. ჩავატარეთ ძილის დაწვრილებითი ელექტროფიზიოლოგიური კვლევა, რომელმაც გამოავლინა ენურეზით დაავადებულთა ძილის აშკარა ავადმყოფური ხასიათი, რაც მის თვისობრივ და რაოდენობრივ ცვლილებებში გამოიხატება. განსაკუთრებით დამახასიათებელია ძილის ღრმა სტადიების პროცენტული მატება, სწორედ ამ სტადიებში ხდება უნებლიე შარდვა, რასაც ძილის უფრო ზერელე სტადიებში გადასვლა მოსდევს.

თუმცა ბავშვი განაგრძობს ძილს. ამ სტადიებში ბავშვის ძალად გაღვიძებამ შესაძლოა ფსიქომოტორული აღგზნება გამოიწვიოს.

როგორ ვუმკურნალოთ ენურეზით დაავადებულთ?

— პირველ რიგში გამოვრიცხოთ ორგანული დაზიანების შესაძლებლობა. ზოგჯერ საჭირო ხდება დავადგინოთ, საქმე ხომ არა გვაქვს ეპილეფსიასთან, რადგან ეპილეფსიის დროსაც ხდება უნებლიე შარდვა, თანამედროვე სპეციალური აპარატურის საშუალებით ამის დადგენა, ძნელი სულაც არ არის.

ხშირად დიაგნოზის დაზუსტება მრავალი პროფილის სპეციალისტების (ნევროლოგი, ფსიქიატრი, უროლოგი, ენდოკრინოლოგი) ჩარევას მოითხოვს. სწორი დიაგნოსტიკა შედეგიანი მკურნალობის საწინდარია, რომელსაც ექიმი-სპეციალისტი უნდა წარმართავდეს. აქ ერთხელ კიდევ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ მკურნალობაში, რომელიც ფსიქოთერაპიას, სათანადო დიეტას, რეჟიმს, გარემო პირობების გაჯანსაღებას გულისხმობს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორად შერჩეულ წამლებს, ვინაიდან არასწორი მკურნალობით შეიძლება კიდევ უფრო გავაღრმავოთ ისედაც ღრმა ძილი და ამით ხელი შევუწყოთ მდგომარეობის გაუარესებას.

შარდის შეუკავებლობის მიზეზის დროული დადგენა, სწორი მკურნალობა მეტწილად ავადმყოფის განკურნებით მთავრდება.

საბოლოოდ გვინდა დავძინოთ, დროულად მიმართეთ ექიმს!

მაია ჯიბლაძე



ბუნება და ადამიანი

# ზოგი რამ ვარდის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასკილი გაზაფხულის მიწურულს ყვავილობს. ადამიანმა უხსოვარი დროიდან მისგან მრავალრიცხოვანი ვარდის ჯიში გამოიყვანა. ეს მცენარე სიჭაბუკის, სილამაზისა და სიყვარულის სიმბოლოა, ყვავილთა დედოფლის წინაპარი. ასკილის ჩხვლეტია ბუჩქები გვხვდება დაჩრდილულ ადგილებში, შოთხვის, ნეკერჩხლის, თხმელისა და სხვა მცენარეთა შორის, ტყის პირებსა და ხევებში. მისი ყვავილის არომატული ფურცლების გამოყენება შეიძლება სამურაბედ და სუნამოების დასამზადებლად, მაგრამ ყველაზე უკეთესია მისი ნაყოფი, რომელიც შეიცავს 40 პროცენტამდე ვიტამინ C-ს.

ვარდს მეტად საინტერესო ისტორია აქვს. მისი სიმშვენიერე შექებულია ლეგენდებსა და თქმულებებში, უამრავ ლექსსა და სიმღერაში. მოსკოვის მთავარი ბოტანიკური ბაღის როზარიუმში შეკრებილია მრავალნაირი ფორმისა და შეფერილობის ნაზი სურნელების ვარდების კოლექცია. ამჟამად ამ მცენარის ათი ათასზე მეტ ჯიშს ითვლიან.

ვარდს შორეული წარსულიდანვე იცნობდა ეგვიპტე. ეგვიპტის დედოფალმა კლეოპატრამ ერთ-ერთ ნადიმზე ბრძანა, იატაკი ნახევარი მეტრის სისქეზე მთლიანად ვარდის ფურცლებით მოეფინათ და ზედ აბრეშუმის თხელი ბადე გადაეფარებინათ. ზეციდან ვარდების ფურცლების წვიმა მოდიოდა. როცა დედოფალი ნავით მდინარეზე სეირნობდა, წყლის ზედაპირზე ვარდები იყო მობნეული.

ძველ რომში ვარდით აჯილდოებდნენ ადამიანებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის, გამარჯვებულებს გვირგვინებით უმკობდნენ თავს. იგი სიმამაცის ემბლემად და თავისებურ ორდენად ითვლებოდა. რომაელ მეომრებს ღრმად სწამდათ, რომ ვარდი ადამიანს გამბედაობას, ვაჟკაცობას მატებდა და მუზარადების ნაცვლად ვარდების გვირგვინს იდგამდნენ თავზე.

1453 წელს, როცა თურქეთის სულთანმა მუჰამედ მეორემ კონსტანტინეპოლი დაიპყრო, მანამდე, ვიდრე წმინდა სოფიოს ტაძარს მეჩეთად გადააქცევდა, ბრძანა ტაძარი მთლიანად ვარდის წყლით ჩამოერეცხათ. ამდენი წყლის მიტანას ხუთასი აქლემი დასჭირდა.

ძველი ინდოეთის თქმულებების მიხედვით, ყოველ მოქალაქეს უფლება ჰქონდა, რაც სურდა ის ეთხოვა მეფისათვის, თუკი მას ვარდების თაიგულს მიართმევდა.

ძველად საუკეთესო ტაძრებში ყველა სადღესასწაულო წირვის დროს ყოველთვის ბლომად იყო ვარდი. ამ ყვავილით რთავდნენ გზებს, სადაც საზეიმო ვითარებაში უნდა გაევლო პროცესიას. ვარდით იყო შემკული მეფეთა დასასვენებელი სავანეები და საქორწინო დარბაზები.

დიდი საბჭოთა მწერალი მაქსიმ გორკი ყვავილების მოყვარულ ადამიანში სიკეთის ღრმა საწყისებს ხედავდა.

ფინეთში ყველაზე საპატიო ორდენად „ფინეთის თეთრი ვარდის ორდენი“ ითვლება. მაგრამ ვარდებს აქვთ არა მარტო ესთეტიკური, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც — ვარდის ფურცლებისაგან იღებენ ძვირფას არომატულ ზეთს. საბჭოთა კავშირში — ყირიმში მოლდავეთსა და საქართველოში გაშენებულია სპეციალური პლანტაციები. ასევეა საფრანგეთსა და სპარსეთში. ბულგარეთში ამრავლებენ ყაზანლიყის ცნობილ ვარდს. აქ ვარდის უძვირფასეს ზეთს „თხიერ ოქროს“ უწოდებენ.

გ. დათუაშვილი,

საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი.

# მეოჯახეს

## საზამთროს მურაბა

სქელქერქიან საზამთროს ამოაჭერით გული და მოაცილეთ მწვანე გარე კანი. დარჩენილი თეთრი ნაწილი (ერთი კილოგრამი) დაჭერით ნაჭრებად (თუ გსურთ სხვადასხვა ფორმის ნაჭრებად). თითოეული ნაჭერი ადგილ-ადგილ დაჩხვლიტეთ წვრილი ჩხირით ან უჟანგავი ჩანგლით და ჩაყარეთ შესაფერ მომინანქრებულ ქვაბში. დაასხით მდუღარე წყალი (იმდენი, რომ კარგად დაფაროს) და გააჩერეთ ექვსი დღე-ღამე. ყოველდღიურად ორჯერ (დილა საღამოს) უცვალეთ მდუღარე წყალი.

მეშვიდე დღეს ჩაყარეთ სუფთა მომინანქრებულ ქვაბში, დაასხით მდუღარე წყალი იმდენი, რომ დაფაროს და ადუღეთ (ადუღების მომენტიდან რვა-ათი წუთი), ასე მოიქეცით კიდევ მეორედ, მაშასადამე სულ ორჯერ.

ამავე დროს მოხარშეთ სიროფი (შაქრის ფხვნილი ერთნახევარი კილოგრამი, წყალი ხუთნახევარი ჩაის ჭიქა), მოათავსეთ შიგ წყლისაგან დაწრეტილი საზამთროს ნაჭრები და მოხარშეთ ჩვეულებრივი წესით ნელი დუღილით.

მზა მურაბა გადმოდგით ცეცხლიდან და გემოვნების მიხედვით უყავით ვანილი.

## კაკლის მურაბა

ბაზარზე ნაყიდი ასი ცალი მზა კაკალი დაჩხვლიტეთ წვრილი ხის ჩხირით ან უჟანგავი ჩანგლით. ჩაყარეთ შესაფერ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით ცივი წყალი იმდენი, რომ კარგად დაფაროს და გააჩერეთ სამი დღე-ღამე. ყოველდღიურად ორჯერ (დილა და საღამოს) უცვალეთ წყალი. ამის შემდეგ კაკალი მოათავსეთ სუფთა მომინანქრებულ ქვაბში, დაასხით მდუღარე წყალი იმდენი, რომ დაფაროს და ადუღეთ (ადუღების მომენტიდან) ოცი წუთი. გადაიტანეთ თუშფალანგში და როცა სითხისაგან დაიწრიტება, მოათავსეთ მდუღარე შაბიან (შაბი ორმოცდაათი გრამი) წყალში და ადუღეთ (ადუღების მომენტიდან) ოცი წუთი. შემდეგ გადაიტანეთ მდუღარე წყალში და ადუღეთ ოცდაათი წუთი. მოათავსეთ თუშფალანგში და როცა სითხისაგან დაიწრიტება, გადაიტანეთ მდუღარე შაქრიან (ერთი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი) წყალში და ადუღების მომენტიდან ადუღეთ ოცდაათი წუთი.

მოხარშეთ სიროფი (ორნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და ოცი ჩაის ჭიქა წყალი), ცოტაოდენი გადაიტანეთ სხვა ჭურჭელში და შეინახეთ. მდუღარე სიროფში მოათავსეთ გამზადებული კაკალი და ხარშეთ შემზადებამდე. ხარშვისას ჩაუმატეთ სუფთა ტილოს პატარა პარკში მოთავსებული დანაყილი დარიჩინი (ერთი ჩაის კოვზი), მიხაკი (ათი მარცვალი), ილი (ხუთი ცალი). ხარშვის დროს ხანგამოშვებით დაასხით ვადანახული სიროფი. მზა მურაბა გადმოიღეთ ცეცხლიდან და უყავით ვანილი.

## ცივი ჩაი

მოამზადეთ მუქი ჩაის ნაყენი (ჩვეულებრივი წესით), გაწურეთ, გახსენით შიგ შაქრის ფხვნილი (ერთ ჩაის ჭიქაზე ერთი სუფრის კოვზი) და გააცივეთ.

სუფრაზე მიტანისას ჩაი ფინჯნებში ჩაასხით, მოათავსეთ შიგ ყინულის (თითო პატარა ნაჭერი ყოველ ფინჯანზე) და თხლად დაჭრილი თითო ნაჭერი ლიმონი ან ფორთოხალი (შეიძლება ვანილიც).

შეიძლება მომზადდეს ასეც. მოამზადეთ ჩაის მუქი ნაყენი, გაწურეთ და გააცივეთ. ფინჯნებში ჩაასხით ორი სუფრის კოვზი რომელიმე ხილ-კენკრის წვენი (ალუბლის, მაყვლის, მოცხარის და სხვა). ფინჯნებში მოათავსეთ თითო ყინულის ნატეხი, ლიმონის ან ვაშლის თხელი ნაჭერი და დაასხით ზედ წინასწარ გამზადებული ცივი ჩაი.

ჩაის მოსამზადებლად უნდა იხმაროთ ახლადადუღებული წყალი. დაუშვებელია ჩაის დაყენება წინასწარ ადუღებულ და შემდეგ გაცხელებულ წყალზე. არ შეიძლება აგრეთვე დაყენებული ჩაის გაცხელება ან წამოდუღება.

თამარ სულაქველიძე


ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლ გოგენი
(1845-1903)

●

### „როდის გათხოვდები?“

1871 წელს ოცდასამი წლის მეზღვაური პოლ გოგენი მოულოდნელად იწყებს სამსახურს პარიზის ბანკში, მალე ხდება ბირჟის გამოცდილი საქმოსანი და 1873 წელს ქორწინდება დანიელ პეტე სოფი გადზე.

1883 წელს კი, ათი წლის მშვიდი ცხოვრების შემდეგ, ხუთი შვილის მამა ტოვებს სამსახურს, ოჯახთან ერთად სახლდება რუანში და თავის სიცოცხლეს მთლიანად ფერწერას სწირავს.

ასე ხდება პერსპექტიული ბანკირი ერთ-ერთი იმ მხატვართაგანი, რომელთა შემოქმედებაც არა მარტო მიუღებელი იყო თანამედროვეთაგან, ხშირად სამასხროდაც გახლდათ მიჩნეული.

ფერწერის თავდავიწყებული მოტრფიალე მხატვარი ტოვებს ოჯახს და სიღატაკეში ცხოვრობს.

სიცოცხლის ბოლო წლებს გოგენი კუნძულ ტაიტიზე და ხივა-ოაზე ატარებს, სადაც ქმნის თავისი ცნობილი შედევრების ნაწილს.

გთავაზობთ პოლ გოგენის ფერწერას — „როდის გათხოვდები?“.

გარეკანის პირველ გვერდზე — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის კოლმეურნეობის მეჩაიე ციალა ნუცუბიძე. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდი; მეოთხეზე — პოლ გოგენის „როდის გათხოვდები?“

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ძლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეჭირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-07. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 7.VI.83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.VII.83 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5. 8.
ტირაჟი 130 000 შეკვ. 1507 უე 07222.

# ქართული მედლის II რესპუბლიკური გამოფენა

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისელმა მაყურებელმა ინტერესით დაათვალიერა მხატვრის სახლში გახსნილი ქართული მედლის II რესპუბლიკური გამოფენა, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

ვერნისაჟზე წარმოდგენილი ასზე მეტი მხატვრის ექვსასი ნამუშევარი განლაგებული იყო სამ საგამოფენო დარბაზში. გამოფენაში 25 მხატვარი ქალი მონაწილეობდა.

პატარა მრგვალ რელიეფს, რომელსაც მედალს ეძახიან, თუმცა იგი მინიატურულად მცირე ზომისაა, მაინც ბევრი რამის თქმა შეუძლია როგორც მის ავტორზე, ისე მის ხალხზე, მის თანამედროვეობაზე, მის ეპოქაზე.

მედალიორთა ხელოვნებას ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არა აქვს დიდი ხნის ისტორია და მით უფრო ამ გამოფენამ ძალიან გაახარა მცირე პლასტიკის თაყვანისმცემელნი.

მდიდარი და მრავალფეროვანი ექსპოზიციის გაცნობისას ჩანდა, თუ რა მოკრძალებული სისათუთით ეპყრობოდნენ ამ ჟანრს სახვითი ხელოვნების ცნობილი ოსტატები: საქართველოს სახალხო მხატვრები სერგო ქობულაძე და ვალენტინ თოფურიძე.

ეს გამოფენა იმ მხრივაც იყო სასიამოვნო, რომ მხატვარ მედალიორ კაცთა ნაწარმოებებს ღირსეულ მეტოქეობას უწევდა მხატვარ ქალთა საუკეთესო ნამუშევრები.

მნახველთ მოეწონათ მოქანდაკე ლამარა ქველიძის ნამუშევრები. გამოფენაზე ექსპონირებული იყო მისი 200-ზე მეტი მედალი.

აღნიშვნის ღირსია გ. მიქაძისა და ლ. გოცირიძის „დედობა", ი. არდიშვილი-ჯორჯაძის — „ფიროსმანი". ნ. თაბუაშვილის — „მწერლის პორტრეტი", ლ. ნაკაშიძის — „კერამიკული მედლები", თ. კუპრაშვილის — „ილია ჭავჭავაძე", ე. ყუბანეიშვილის — „შვილის პორტრეტი", ნ. იორდანიშვილის ესკიზები მედლებისათვის, ლ. იზაბაკაროვას „დაღესტანი" და სხვა ავტორთა ნამუშევრები.

**იზა გაბრიელაშვილი**



მ. ივანიშვილი — „მხატვრული ტანვარჯიში"


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ჯაბუა — „მხედარი"



ნ. გერასიმოვა — „ნატურმორტი"




რ. ქუჩულორია — „ბეთჰოვენი"




მ. ყიფიანი — „ლეჟე"



თ. გელაშვილი — „ჰეპატია"



ქ. გომაძე — „წერო"



ტ. კეშელავა — „ნ. კანდელაკი"



ეროვნული
ბიბლიოთეკა